საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge

პარასკევი, 26 აგვისტო. 2016 წ. №158 (8050), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

გაზეთის ეს ნომერი მთელი საქართველოს მასშტაბით ერთი კვირის განმავლობაში გაიყიდება!

ქართული, მხოლოდ ქართული გზა!

მეცნიერთა საინიციატივო ჯგუფი ეროვნული თანხმობის პარლამენტისათვის:

ქვეყანა ერის ბუნებიდან გამომდინარე უნდა იმართებოდეს!

საქართველოს უდიდესი პოტენციალის ადამიანები ჰყავს როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ!

მომავლის საქართველოსთვის

● **ჩვენ გვინდა** არა მსოფლიო გლობალურ პროცესებთან დაპირისპირება, არამედ მისი ანალიზი, ამ პროცესებში გააზრებულად მონაწილეობა და არა სხვისი კარნახით, რაც მთავარია – თვითმყოფადობის შენარჩუნება;

● **ჩვენ გვინდა** არა უბრალოდ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა – დაკარგული ეროვნული თვითმყოფადობით, როგორც ამას სხვადასხვა სექტანტური ჯგუფები და ქვეყანაში მათი მხარდამჭერები გვკარნახობენ, არამედ რეალურად ეროვნული და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა;

● **ჩვენ გვინდა** ფიქრი არა მხოლოდ საკუთარ თავზე, არამედ მოქმედება და ცხოვრება პრინციპით: „მშვიდობა და სიძლიერე შინ და გარეთ!“

● **ჩვენ გვინდა,** რომ საქართველოს პარლამენტში, ზოგადად ხელისუფლებაში, წარმომადგენლები ჰყავდეს არა მარტო საქართველოს რეგიონებს, არამედ საზღვარგარეთის ქვეყნებში ისტორიულად, თუ ბედის უკუღმართობით, საკუთარი თავისა და ოჯახის გადასარჩენად გადახვეწილ საქართველოს მოქალაქე თანამემამულეებს – ისე, როგორც ეს ხდება ევროპის დემოკრატიულ ქვეყნებში;

● **ჩვენ გვინდა** სამყაროსთან ურთიერთობა ინტელექტითა და ბიზნესით, მაგრამ შენარჩუნებული თვითმყოფადობით;

● **ჩვენ გვინდა,** რომ საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა ვაქციოთ პოლიტიკად, როგორც ეს დიდმა **დავით აღმაშენებელმა** შეძლო და შევცვალოთ პარტიებისა და პოლიტიკოსების მიერ ხელისუფლებისთვის ბრძოლის მთავარ პრინციპად დამკვიდრებული, პრაქტიკულად, ქვეყნის დამანგრეველი მოდელი – საქართველო ზესახელმწიფოთა ინტერესების დაპირისპირების ადგილი (სწორედ ადგილად გვთვლიან, რაც ძალიან სამწუხაროა). ჩვენი ამოცანაა, საქართველო გადავაქციოთ ქართულ სახელმწიფოებრივ ინტერესზე სხვა სახელმწიფოთა, მათ შორის, ზესახელმწიფოთა ინტერესების ზედდების ქვეყნად.

დიდი მადლობა ყველას, ვინც საფუძვლიანად ეცნობა მეცნიერთა საინიციატივო ჯგუფის ნააზრევს, ვინც შეძლებს, რომ სხვაც დააინტერესოს.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკასთან“ შეთანხმებით, ყოველ პარასკევს გამოვაქვეყნებთ მოსახლეობასთან, საზოგადო მოღვაწეებთან, მეცნიერებთან დათათბირებით შერჩეულ იმ ადამიანთა სიებს, ვის მიმართაც საზოგადოებაში ერთობ კარგი განწყობაა. ამ მასალების წარდგენას წინასწარ გავაკეთებთ ყოველ ხუთშაბათს, 17 საათზე ტელევიზია „ქართული ტვ“-ს მხარდაჭერით, ხოლო ამავე ტელევიზიით, ყოველ ორშაბათს, გვექნება პირდაპირი ეთერი მეცნიერთა საინიციატივო ჯგუფის წევრების და ყველა დაინტერესებული პიროვნების მონაწილეობით სპეციალურ გადაცემაში „ამ ქვეყნის ბატონ-პატრონი ხალხია და არა ხელისუფლება“.

მეცნიერთა საინიციატივო ჯგუფის პოზიცია ურყევია: ჩვენ დიდი პროცესი დავიწყეთ, მას კიდევ უფრო მასშტაბურად გავაგრძელებთ, არ მოვეშვებით არც ერთ პრობლემას, რაც ხალხში და ქვეყანაშია...ჩვენ არც იმას ვამბობთ, რომ ჩვენ ვართ სიმართლის საბოლოო ინსტანცია, მაგრამ დაპირისპირება, პარტიების გაფეტიშება, პარტიული ინტერესის ქვეყნის ინტერესზე მაღლა დაყენება რომ დამანგრეველია, თანამშრომლობის ჰარმონიზაცია რომ აუცილებელია, ვფიქრობთ არც ეს არის საკამათო. სწორედ ამიტომ არის საჭირო ჯანსაღი დისკუსია, ჯანსაღი პაექრობა. ეს ჩვენი გზაა.

კიდევ ერთხელ ვადასტურებთ, ჩვენ მზად ვართ თანამშრომლობისათვის.

იხ. 5-6-7-8 გვ.

გოგა ხაინდრავა:
ან ისინი იქნებიან, ან - საქართველო, ერთად - არასოდეს!
2

არმაზ სანებლიძე

ჩვენ ნიჭიერი ხალხი ვართ?
რაც მოგვივა დავითარ...
3

გულნარა სტურუა

ცოტნე დადიანისა და შოთა რუსთველის დანათესავება: პოეტური აზრის მწვერვალზე
4

როსტომ ჩხეიძე

პროვოკაციებს საქმის მკეთებელს უწყობენ!
12

იოსებ ჭუმბურიძე



გოგა ხაინდრავა:

ან ისინი იქნებიან, ან – საქართველო, ერთად – არასოდეს!

თბილისში, ვერაზე, გაუქმებული აბრეშუმის ფაბრიკის ეზოში, როგორც რევოლუციური „ავრორა“ პეტრეს ქალაქში, ნევის სანაპიროსთან ღუზაჩაშვებული კრეისერი, დგას გოგა ხაინდრავას სტუდიის ავტობუსი წარწერით – „ლეხაინდრაო პროდაქშენ“.

კარგია!

თურმე არ გამქრალა იუმორის გრძნობა საქართველოში.

ეს „კრეისერი“ ამ დღეებში კინოპროექტის „9+1“-ის ორ გასროლას აპირებს ტელესივრცეში: ერთს – 6 სექტემბერს, მეორეს – ოქტომბრის დასაწყისში.

არჩევნებამდე.

სიმართლის ორ ზალპს ქვეყანაში, რომელიც დღეს უმწვავეს დაპირისპირებათა ასპარეზად არის ქცეული და სჭირდება მხარში ამოდგომა, „რადგან, როგორც სხეულია მკვდარი სულის გარეშე, ასევე რწმენაც მკვდარია საქმეთა გარეშე“ (იაკ. 2,25).

რწმენის მაცოცხლებელი საქმე უმოკლეს ვადაში დასრულდა.

– როგორ შეძელით, ბატონო გოგა, ერთ წელიწადში ჩაგეტიათ ის ტრაგიკული 9 წელიწადი, როცა ხალხმა „დაითმინა გინება და გვემა, ბორკილები და საპყრობილეები“... როცა „ქოლავდნენ, ხერხავდნენ, აწამებდნენ; მახვილით იხოცებოდნენ... შეჭირვებულნი, შევიწროებულნი, დათრგუნულნი“ (ებრაელთა მიმართ, 11, 36-37).

– ფილმის სამუშაო სახელწოდება იყო „9+1“.

ახლა ჰქვია „ჰეროკრატია“. მაყურებელი ფილმის ნახვის შემდეგ მიხვდება რატომ გადავარქვით სახელი.

ყველაფრის ჩატევა ერთ წელიწადში, ერთ ფილმში შეუძლებელია, მიუხედავად იმისა, რომ იგი (ფილმი) საკმაოდ მოცულობითია, 24 სერიაა, თითოეული 40 წუთის ხანგრძლივობის. ეს არის 12 სრულმეტრაჟიანი ფილმი. თანაც – მხატვრული ფილმი, თავისი არსითა და სტრუქტურით.

უამრავი დანაშაული აქვს ჩადენილი საკაშვილის რეჟიმს. მარტო ჩვენ 1200 ინტერვიუ ჩავიწერეთ, განზრახული გვაქვს „თეთრი წიგნის“ გამოცემა ამის საფუძველზე.18 ათასი საჩივარი არის შეტანილი პროკურატურაში. ამ მასიდან ამოვარჩიეთ ისეთები, რომლებშიც სახელმწიფო მანქანა თრგუნავდა და კლავდა ხშირ შემთხვევაში ერთ, ცალკე აღებულ ადამიანს, და ასეთ დანაშაულში პრეზიდენტით დაწყებული, რიგითი ბადრაგით დამთავრებული, ყველა რანგის საჯარო მოხელე, ყველა სახელმწიფო ინსტიტუტი მონაწილეობდა.

ჩვენი ფილმი არის სახელმწიფოს მიერ ჩადენილ დანაშაულობათა ეკრანული მხილება.

– „ეს არის ფილმი-ეპოპეა, რომელმაც, უპირველესად, საზოგადოება უნდა დააფიქროს იმაზე, ამდენი საშინელება როგორ დავუშვით“, – ნათქვამი გაქვთ ერთგან.

– ოცდამეერთე საუკუნეში ქართველმა საზოგადოებამ, ხალხმა, რომელსაც სახელმწიფოებრიობის მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს, რომელიც ყოველთვის წმინდად იცავდა მართლმადიდებლობის ფუძემდებლურ პრინციპებს და დღეს ქრისტიანობის ერთ-ერთი გადარჩენილი აკვანია მთელ მსოფლიოში, დაუშვა, რომ მის ქვეყანაში ფეხი მოეკიდა გაუნათლებელი, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, წერა-კითხვის უცოდინარი ბოგანოების მიერ ჩამოყალიბებულ უსასტიკეს, ავტორიტარულ რეჟიმს, ეს, მე ვფიქრობ, უწინარეს ყოვლისა, საზოგადოებრიობის ბრალია, მისი პრობლემა და საფიქრალია. ამ საფიქრალიდან გამომდინარედ ვიმუშავეთ, გავვერთიანდით მთელი ჯგუფი. ამ საფიქრალმა და ტკივილმა მოგვცა იმის მუხტი და შესაძლებლობა, რომ მთელი ჩვენი ენერგია, რწმენა, პროტესტი ჩაგვედო „ჰეროკრატიაში“. საზოგადოება ნახავს ამ ყველაფერს, შეგვაფასებს ჩვენ და, ვიმედოვნებ, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ თავსაც.

– „ღამის მთავრობა“, – ასე დაახასიათეთ რეჟიმის მმართველთა ჯგუფი. ამ ღამეულ მანიაკებს სათავეში ედგა ერთი...

– სააკაშვილი, რა თქმა უნდა.

– დიახ. ჩემს შეკითხვას ასე ჩამოვაყალიბებ: სტალინმა ერთი რუსი მწერლის (ანდრეი პლატონოვის) მოთხრობა („Впрок“) რომ წაეკითხა, წიგნის (თუ ჟურნალის) კიდეზე მიაწერა: „ნიჭიერი მწერალია, მაგრამ არამზადაა“. რა თქმა უნდა, გსმენიათ სააკაშვილზე რომ ამბობდნენ, ნიჭიერიაო. თქვენ გქონდათ მასთან ურთიერთობა, რა ნიჭი შეამჩნიეთ ამ კაცში?

– ნიჭი არის ადამიანზე გადმოსული ღვთიური მადლი. ღვთის მიერ მინიჭებული. სააკაშვილში კი ეშმაკეული ძალა იყო კონცენტრირებული (და არა მხოლოდ მასში), და იმართებოდა ამ ბნელი ძალის ნებით. ნიჭი, ნიჭიერება სიკეთის მატარებელია. ამ კაცის ქმედებაში არანაირი სიკეთე არ შეიმჩნეოდა. იგი იყო აგებული ვნებაზე, გარყვნილებაზე, ბოროტებაზე, პატივმოყვარეობაზე, ვერცხლისმოყვარეობაზე.

მისი ნიჭიერება მე ვერ დავინახე, თუმცა საკმარისად დიდხანს ვითანამშრომლეთ. ენერგია – იყო, ძალაც ჰქონდა ადამიანებზე ზემოქმედების. იგი, როგორც ნეგატიური მოვლენა, სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა. ეს შესაძლებელი გახდა დასავლეთის ისეთი ბნელი ძალების მხარდაჭერით, როგორიც, მაგალითად, ევროპაში ცნობილი „სახალხო პარტიაა“. ამ პარტიის ხელმძღვანელი თავს უფლებას აძლევს, ჩამოვიდეს საქართველოში, მერაბიშვილს პოლიპატიმარი უწოდოს, რომელმაც იმდენი ვნება და ბოროტება მოუტანა საქართველოს, რომ უფრო მეტის წარმოდგენაც კი ძნელია.

– „ორი გვამი მინდა“...

– გვამებზე იარეს! ამას ნახავს ჩვენი ფილმის მაყურებელი. ღირსებას ულახავდნენ ადამიანებს, ებრძოდნენ ყველაფერს, რაც ჩვენთვის ძვირფასი და სათაყვანებელია, იგივე უგულავები და სხვები. ახალაიებზე არაფერს ვამბობ, რადგან მათ ადამიანებში არ მოვიხსენიებ. ჩემთვის აბსოლუტურად გაუგებარი მოვლენაა, როგორ შეიძლება, სამი კაციჭამია ერთ ოჯახში ცხოვრობდეს.

საზოგადოება ნახავს მათ ნამოქმედარს და ზუსტად შეაფასებს ვინ არის მართალი, ვინ – მტყუანი.

– აქა-იქ, პრესაში გამოჩნდა მოსაზრებები, რომ ე. წ. ციხის კადრები, რომლებმაც თავის დროზე შეძრა საქართველოს საზოგადოებრივი აზრი, დადგმული იყო.

– „დადგმული“ იყო დიახაც სააკაშვილის, მერაბიშვილის, ახალაიების მიერ და შესრულებული კოხტა კოდუების, მეგის ქარდავების და სხვა ჯალათების მიერ. ერთ-ერთი ყველაზე დიდი დანაშაული ამ მიმართულებით მიუძღვის ე. წ. არასამთავრობო ორგანიზაციების, იმ მკივანა ჯგუფს, რომელმაც ყველაფერი გააკეთა, რათა ქართველი საზოგადოებისთვის დაეხურათ სიმართლის კარი. ისინი ფულს იღებენ და არსებობენ იმისთვის, რომ ჯებირები დადგან საზოგადოების განვითარების გზაზე. ბუნებრივია, რომ ყველას არ ვგულისხმობ, რადგან მესამე სექტორში ბევრი კეთილსინდისიერი ადამიანი არის გაერთიანებული და თავის ქვეყანას ნამუსიანად ემსახურება. მაგრამ ძირითადად ეს ფენა ფულით მართული კონტინგენტია, რომელიც საჭირო მომენტში დამფინანსებლების ინტერესებს განახორციელებს ჩვენს ქვეყანაში. მათ, მაგალითად, ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რათა ეს ვიდეოფირები საზოგადოებისთვის ნაჩვენები არ ყოფილიყო, არადა, ამ ჩანაწერებზე ხელი მიუწვდებოდა ყველაზე ბნელ ძალებს, კრიმინალებს ნებისმიერი შანტაჟის მოსაწყობად.

„პირადი ცხოვრების ამსახველი“ ფაილების რაოდენობა 35 ათასზე მეტია. როცა ამ მასას ლეგალურ გზას გადაუკეტავ, იგი არალეგალურად გავრცელდება, ისე, როგორც ნარკოტიკები, იარაღი, როგორც ნებისმიერი აკრძალული ხილი.

მათი მიზანი იყო ამ ფაილების გამოყენება პოლიტიკური ბატალიების დროს წინასაარჩევნო პერიოდში.

დადგმულიაო, იძახიან... მაშინ დაგვსახელონ მონაწილე არტისტები. ვერ დაასახელებენ, რადგან ცრუობენ. წამება-გაუპატიურების ფაილები სავალალო სიმართლეა. პირადად შევხვედრივარ იმ ადამიანებს, რომლებიც ნაწამები იყვნენ. ჩაწერილი გვაქვს მათი მონაყოლი. თუმცა ისიც უნდა გითხრათ, რომ მათგან ცოტამ გაბედა, ესაუბრა იმაზე, რაც თავს გადახდა. ვინც ილაპარაკა, გმირობის ტოლფასი რამ ჩაიდინა.

წამების ის ხერხი, რომელსაც ქართველმა საზოგადოებამ გაუპატიურება უწოდა, ჯერ კიდევ შუასაუკუნეებში იყო ცნობილი.

აი, საით მიჰყავდა ნაცმოძრაობას საქართველო!

ველოდი, რომ როცა ციხის – ამ ჯოჯოხეთის – კარი გაიღებოდა, იქიდან გამოსული ადამიანები საკადრისს მიუზღავდნენ მათ მწამებლებს. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. ერთ-ერთი მოტივაცია, რომელმაც ამ ფილმის გადაღება გადამაწყვეტინა, იყო ის, რომ ვერ დავინახე ჩვენი საზოგადოების უკიდურესი აღშფოთება ამ კაციჭამიების მიმართ. მათ დღესაც პოლიტიკურ ორგანიზაციად მოიხსენიებენ, ისინი კვლავ მონაწილეობენ პოლიტიკურ ცხოვრებაში და გავლენაც აქვთ საზოგადოებრიობის რაღაც ნაწილზე. მეტიც, ერთ-ერთი მათგანი ევროპარლამენტის ხელმძღვანელობაში არჩევასაც კი ცდილობდა „სახალხო პარტიის“ ლიდერების და მსგავსი პოლიტიკორუფციონერების მხარდაჭერით.

ქართველ საზოგადოებრიობას და ქართულ კინოეკრანს ვერ ვაკადრებ ყველაფერ იმის ჩვენებას, რასაც ისინი სჩადიოდნენ, მაგრამ, რასაც წარვუდგენ, საკმარისი იქნება ბოკერიების, ბარამიძეების, ვაშაძეების, ჯაფარიძეების და სხვათა ჭეშმარიტი სახეების წარმოსაჩენად, რომლებიც „გირჩის“ თუ, ღმერთმა უწყის, რის სახელს ამოფარებულები, ცდილობენ გაექცნენ თავიანთ წარსულს.

ვერ გაექცევიან, რადგან იცოდნენ, ხმას აძლევდნენ, ამართლებდნენ იმ საშინელებას, რომელიც ხდებოდა ციხეებში, უწინარესად, – გლდანის საპყრობილეში, სადაც მძვინვარებდა ქილერად წოდებული ვინმე მუხაძე, რომელსაც ადამიანის ღირსების ფეხქვეშ გათელვა არაფრად მიაჩნდა. ჩვენ ზედმიწევნით ზუსტად აღვადგინეთ გლდანის ჯოჯოხეთი და საზოგადოებას განსასჯელად წარვუდგენთ.

– „ასავალ-დასავალში“ გიორგი შენგელაია ამ თქვა, რომ სამეგრელოდან დეპუტატობის კანდიდატად წამოყენებული სანდრა რულოვსი „ისევეა ფეხებით ჩამოსაკიდი, როგორც სააკაშვილი“. ეს – პარალელი...

– დუჩეს და მისი საყვარლის სამარცხვინო დასასრულთან.

სანდრა რულოვსი აბსოლუტური შემთხვევითობაა საქართველოს სინამდვილისთვის. ფეხებით ჩამოკიდების რა მოგახსენოთ, მაგრამ, მე მგონი, უმჯობესი იქნება, თავის ქვეყანაში წავიდეს და მიწათმოქმედებას მიხედოს. ეგებ, გლეხის ქალობით უკეთ გაიტანოს თავი, რადგან ვერ შედგა როგორც პირველი ლედი ჩვენი ქვეყნისა. იგი მორალურად სრულად ინაწილებს იმ დანაშაულებრივ ტვირთს, მის ქმარს და იმ სექტას რომ აწევს, რომლის სახედაც ცდილობენ ამ ქალის წარმოჩენას. მას თავმოყვარეობის ნასახი რომ ჰქონდეს, საერთოდ არ გამოჩნდებოდა საქართველოში, ფეხს არ დაადგამდა სამეგრელოს მიწას, სადაც კოხტა კოდუები და მისთანანი სააკაშვილის კაციჭამიურ პოლიტიკას პრაქტიკულად განახორციელებდნენ. იგი ისეთივე გარყვნილი ადამიანია პოლიტიკურადაც და ზნეობრივადაც, როგორიც მისი ქმარი.

სამეგრელოში თუ აირჩევენ, სამეგრელოც არ ყოფილა და ეგაა! აღარ არსებობს თურმე ჩემი მხარე და ჩემი კუთხე! თუ იქ ნაცმოძრაობა გაიმარჯვებს, ეს ნიშნავს, რომ მან – სამეგრელომ თავისი თავი დაკარგა. მაგრამ, არა მგონია, რომ ცოტნე დადიანის მხარე ამდენად დაძაბუნდეს და ამდენად დაეცეს მორალურად.

და საერთოდ: ვფიქრობ, რომ ჩვენი საზოგადოება კარგად უნდა დაფიქრდეს, თუ როგორ რეალობასთან გვაქვს საქმე.

ბოროტმოქმედი მიხეილ სააკაშვილი იძებნება საქართველოს მართლმსაჯულების მიერ. მას კაცობრიობის წინაშე აქვს ჩადენილი დანაშაული, რომელიც ადრე თუ გვიან დაუმტკიცდება, ამის პირობას ვაძლევ ყველას. იგი თავს აფარებს მეზობელ ქვეყანას, საიდანაც პრაქტიკულად ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობას ეწევა ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ. ამის მოწმე მთელი საქართველოა. თბილისში ფუნქციონირებს დივერსიული საზოგადოება „რუსთავი-2“, რომელიც მისი ყველა ბოროტი გეგმის საინფორმაციო მხარდაჭერას უზრუნველყოფს მიზანმიმართულად, დაუფარავად, ჩვენ თვალწინ.

პირდაპირ გეტყვით – აღარაფერი მიკვირს ქართული პრესის, რომელიც მერკანტილური ინტერესების გამო ღიად უჭერს მხარს ასეთ ანტიქართულ, ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობას. თუ არა მერკანტილიზმი, სხვა ვერაფრით აიხსნება, როცა მედია, თავისი რეიტინგული და ფინანსური ინტერესებიდან გამომდინარე, მისივე ქვეყნის წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკის ფარვატერს მიჰყვება.

ნაცებს სჭირდებათ ასეთი პოლიტიკის განხორციელება, რათა აირიოს ყველაფერი, დაიწვას, აფეთქდეს და დაიფერფლოს მთელი ქვეყანა.

მაგრამ ვერ მოესწრებიან, რადგან მათი დრო წავიდა. ისინი თვლიან, რომ ბიძინა ივანიშვილთან და „ქართულ ოცნებასთან“ აქვთ პრობლემა. არადა, პრობლემა დროსთან და ქართველ ხალხთან აქვთ, ამიტომაც არიან განწირულები. მიზერული შანსიც არ არსებობს მათი დაბრუნების! მსოფლიოს მთელი ბნელეთი რომ დაუდგეთ უკან, ისინი საქართველოში ვერ დაბრუნდებიან, რადგან არ მიიღებს საქართველო მათ.



ან საქართველო არ იქნება, ან ისინი არ იქნებიან. ორივეს ერთად ყოფნა წარმოუდგენელია!

ესაუბრა
არმაზ სანეგლიძე

ჩვენ ნიჭიერი ხალხი ვართ?

რას მოგივა დავითაო...



— ასეთი შეკითხვა გამიჩნდა. რა თქმა უნდა, ჩვენ ნიჭიერები ვართ, ალბათ, ასე ვუპასუხებთ ამ კითხვას და არც დავფიქრდებით... მართლაც, რამდენი ნიჭიერი ადამიანი გვყოლია წარსულში და ახლაც დიდია მათი რიცხვი, მაგრამ ხომ უნდა ჰქონდეს ნიჭიერებას შედეგი, ხომ უნდა ეტყობოდეს ამ ფენომენის გავლენა ჩვენს ცხოვრებას შემდეგი მიზეზების გამო: **ნიჭიერება ქმნის ეკონომიკას, ეკონომიკა აღორძინებს და აყვავებს კულტურას (ვფიქრობ, რომ სადავო არ უნდა იყოს!). მეტიც, ნიჭიერება — ეს თვითნაბადი ღირებულება არა მხოლოდ ქმნის ეკონომიკას, არამედ აყალიბებს პიროვნებას.**

მერე!.. გადავხედოთ ჩვენს ცხოვრებას, ჩვენს ყოფას და სად არის ან ერთი, ან — მეორე და ან მესამე...

სიტუაცია და რეალობა მაფიქრებინებს: ჩვენს ხალხში კი არის ნიჭიერება, მაგრამ როგორც ჩანს, უფრო მეტია უნიჭობა და იგი მძლავრობს, არ აძლევს „ნიჭსა გზა ფართოს“, ნიჭიერება ჩიხშია მოქცეული და რა ქნას.

თუ გადავხედავთ სახელმწიფო მმართველობის რუკას, ანუ ქვეყნის წამყვანი თანამდებობების ბადეს, დავინახავთ, რომ სადავეები ხელთ არცთუ ნიჭიერ ადამიანებს უპყრიათ. და ეს სულაც არ არის გასაკვირი, იმ გზის გავლა, რასაც საქართველოში ადგილობრივი თუ სახელმწიფო მმართველობის არჩევნები ჰქვია, უფრო მეტად თავხედებს ეხერხებათ, თავხედობა კი უნიჭოების ნიჭი ყოფილა თურმე (კონსტანტინე გამსახურდიას ამ გამოთქმას ვერწმუნები...).

რატომ, რატომ იმარჯვებს ამ შემთხვევაში თავხედობა და არა ნიჭიერება? დავიწყოთ მიზეზის ძებნა და იქნებ, დაახლოებით მაინც გავიგოთ რა ხდება და როგორ: სახელმწიფოს აპარატი თავისთავად ძალაუფლებაა, იქ მოხვედრილს ძალაუფლებიანს ხომ გხდის და გხდის, ამას კიდევ ზედ ემატება აგრეთვე დიდი ხელფასი, სავსებით განსხვავებული მეცნიერისა და გამომგონებლის ხელფასისგან (ნამდვილად არ ვიცი რა კანონებით და რა ბრძანებებით), რომელიც უკვე ძალაუფლებამოპოვებულ ჩინოვნიკს ყველაფრის უფლებას აძლევს, რადიკალურად განასხვავებს რიგითი მოქალაქისაგან. ჩნდება ადამიანზე ბატონობის სურვილი, ასეთი სურვილი კი გამორიცხავს ნიჭიერებას.

პოლიტიკა დიდი მეცნიერებაა, რომელიც მხოლოდ თეორიულ ცოდნასა და ძიება-გამოკვლევა-აღმოჩენებს როდი გულისხმობს. პოლიტიკოსმა პრაქტიკულად უნდა განახორციელოს თავისი ნიჭი, ინტელექტუალთა მიერ შექმნილი აღმოჩენების, ნაღვაწისა და პროდუქტის თავთავის ადგილზე რიგიანად განაწილებით და გამოყენებით, ყველაფერი ეს ქვეყნის სწორად განვითარებასა და აღმავლობაში გამოვლინდება.

ჩვენთან კი რა ხდება. უნიჭო პოლიტიკოსთა ზეიმია. მათი წყალობით ქვეყანა ახალ, სხვაგან არარსებულ, სრულიად უცხო, ვითომ კაპიტალისტური წყობის, ვითომ დემოკრატიულ ბადეში გაეხვია. საქართველოში ეს იმას ნიშნავს, რომ ქვეყნის სათავეში მოსულნი იგივე კაპიტალის დამგროვებელნი, მომავლის კაპიტალისტები ან უკვე კაპიტალისტები ქმნიან ახალ, რაღაც უცნაურ კლანს, მხოლოდ ამ კლანისათვის მზრუნველ ფორმაციას, იგონებენ ვითომ თანამედროვე სტანდარტებით შეფერილ კანონებს, ხალხს თავს აწონებენ დემოკრატიულ საზოგადოებას ვაშენებთ და აბა მოდით, ერთად ავაშენოთო, სულ ევროპის ხსენებაში არიან, აი, იქითკენ არის ჩვენი გზა, ჩვენა ვართ რაცა ვართ და გამოგვყევითო.

სინამდვილეში, ყველაფერს თავისთვის იშენებენ, ქვეყანასა და ხალხს კი იყენებენ... აი,ასეთი მდგომარეობა გვაქვს დღეისათვის და ამ „თავისთვის აშენებამ“, საქართველოს საკუთარი სახე დააკარგვინა. ქალაქი ქალაქს არა ჰგავს და სოფელი... გვაქვს კი სოფელი? — საკითხავია ნამდვილად! კი ბატონო, ვაშენებთ (შენება ხომ თავისთავად ცუდი არ არის!), თბილისში უკვე ხელისგულის ოდენა მიწაც კი არ დარჩა, სადაც მრავალსართულიანი სახლები არ ააკონწიალეს... ზოგი საცხოვრებელი ბინებისაგან შემდგარი, ზოგიც ვეებერთელა სავაჭრო ცენტრები, ერთიც და მეორეც ვის ჰგონია რომ საქართველოს მოსახლეობისთვის, ქართველებისთვის აშენდა? რამდენჯერ უნდა შევახსენოთ ერთმანეთს, რომ საქართველოს თითქმის ნახევარი მოსახლეობა საზღვარგარეთ გაგვექცა, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეებში მიმოიფანტა, სამაგიეროდ, ამ აკონწიალებულ სახლებში ვინ შესახლდება? სად არის ამდენი ქართველი საქართველოში? არა უშავს, როგორც სხვა ძირძველი მოსახლეობის გარკვეული ნაწილი, ისინიც, მომავალში საქართველოს მოქალაქეები გახდებიანო, გვიქადაგებენ მავანნი. გვეგონოს! მაგრამ ამ საქმეს ასეთი პირი არ უჩანს. დემოკრატიის წყალობით ჩვენს ქვეყანაში შემოსული კაპიტალისტები აშენებენ, მაგრამ ქართველი ხალხის გამრავლებაზე როდი ფიქრობენ. თავიანთი ხალხი მოჰყავთ, თავიანთი ენით და თავიანთი კულტურით, თავიანთი ბაგა-ბაღებითა და სკოლებით. ისე როდი ხდება, როგორც ეს ევროპაში ან ამერიკაშია დაწესებული: **იქაური ენა უნდა იცოდე, უპირველეს ყოვლისა, რამდენიმე წელი უნდა იცხოვრო, შეითვისო იქაური კულტურა და მერე ხდები იმ ქვეყნის მოქალაქე. ჩვენ კი ჩვენივე ქვეყანაში, ჩვენივე მამულში საკუთარი ყოფის, კულტურის ისტორიის, ენისა და სხვა ეროვნული თვითშეგნების ამამაღლებელი ღირებულებების დანერგვასა და განვითარებაზე აღარ ვფიქრობთ. პირიქით, გადავედით სხვათა ენაზე, სხვათა კულტურაზე და ყველაფერი ეს საკუთარის ხარჯზე, საკუთარის დაგმობით. და, სასწაულია, მაინც რომ გავიძახით: ქართველობას ვინ წაგვართმევსო! ვინ და საკუთარი მეობის დაკარგვა და გონების სიბნელე!** აბა, დღემდე როგორ მოვედით, ჩვენ უკვდავი ხალხი ვართო! — ვიმეორებთ, გულს ვიმშვიდებთ და იქ ვნერგავთ იმედს, სადაც მეტი სიფრთხილე და შემართებაა საჭირო! დიახ, ბევრი რამ სასწაული ხდება ჩვენ თავს და ჩვენ ირგვლივ, უნდა ვთქვა მთავარი — ჩვენი აზროვნება გახდა სასწაული და უცნაური. ჩვენივე ნებასა და ჩვენივე თავს კი არა, ვიღაც სხვას, არსებულს თუ არარსებულს ვაბრალებთ ჩვენსავე გადაგვარების გზაზე დადგომას.

ამ ერთი თვის წინ პრესაში წავიკითხე საკმაოდ დიდი სტატია ალენ დალესის დოქტრინის შესახებ. სტატია საინტერესოდ იკითხება არცთუ შორეული ისტორიიდან მოტანილი ფაქტებითა და ვითომ ალენ დალესის დოქტრინიდან ამოღებული ციტატებით. არ ვიცი სად, როდის და რატომ დაიწერა ეს დოქტრინა თუ მსოფლიოს გარყვნისა და ამ გზით ამერიკის მიერ სხვა დიდი სახელმწიფოების დამორჩილების პროგრამა (მართლა დაიწერა კი?), მაგრამ ავტორის მოსაზრებით, იგი დაწერის დღიდან დღემდე წარმატებით ხორციელდება თურმე, ირყვნებიან ქვეყნები, ხალხები და ექცევიან ერთ-ერთი დომინანტი სახელმწიფოს გავლენის ქვეშ. ის კი არადა, ცნობილი ოქტომბრის რევოლუციაც, რომელიც ქალთა უფლებებს თავისებურად წარმოგვისახავდა, ანუ უარყოფდა მონოგამიურ ოჯახს და სამაგიეროდ ნერგავდა უზნეობასა და აღვირახსნილობას, დალესის ჭკუის (დოქტრინის) ერთ-ერთი ნაყოფი ყოფილა. საკითხავია, ნეტავ დალესის წინაპარმა ააცდინა მორალურ გზას უძველესი ქალაქები — სოდომი და გომორი, მოგვიანებით კი თითქმის იგივე დღეში ჩააგდო რომი? ა, როგორ ვიფიქროთ! დიახ, ბატონებო, უნდა ვიფიქროთ და უფრო ფხიზლად და კრიტიკულად მივუდგეთ ხალხთა ისტორიის ამა თუ იმ საკითხს და უნდა დავუკვირდეთ, რომ კაცობრიობის ისტორიის გზას საზოგადოების განვითარების, ევოლუციებისა და რევოლუციების გარდა რაღაც ურყევი, ადამიანისთვის დღემდე გაურკვეველი კანონზომიერებაც ახლავს, მაგრამ მაინც, ადამიანებს (განსაკუთრებით ქვეყნის მმართველებს და ამავე დროს ისტორიის მჩხრეკელებსაც) მეტი დაფიქრება, განსჯა და თვითკრიტიკა მართებთ, რადგანაც მხოლოდ „თავისსავე ცნობისაგან ჩავარდების კაცი ჭირსაო“ — უთქვამს დიდ რუსთაველს. ხალხისაგანაც ხომ გაგვიგონია — „რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო“...



ალენ დალესი

ცნობილი პოლიტიკოსების აზრით და გამოცდილი, განვითარებული ქვეყნების მაგალითზე მსოფლიო მოწინავე საზოგადოება მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აქამდე არსებულ ქვეყნის მმართველობის ფორმათა შორის დემოკრატია ყველაზე მეტად მისაღები ფორმაა. მაგრამ რა არის ეს დემოკრატია, შეესაბამება თუ არა იგი ქართველი კაცის (შეიძლება ვთქვათ, ზოგადად — კაცის) ბუნებას და არის თუ არა იგი სიცოცხლისუნარიანი, მყარი, ეკონომიკის აყვავებაზე მიზანმიმართული, ადამიანის კეთილდღეობაზე ორიენტირებული. „დემოკრატია, როგორც მმართველობის ფორმა ხორციელდება ხალხის მიერ და ხალხისათვისო“, თუ ამერიკის ცნობილი პრეზიდენტის აბრაამ ლინკოლნის ამ გამონათქვამს დავეყრდნობით, მაშინ დემოკრატია მმართველობის საღ ფორმად უნდა მივიჩნიოთ, რადგანაც ხალხი ყოფილა მისი შემქმნელი და ის ვინც ქმნის, უთუოდ თავისთვის ქმნის და იღვწის...

დემოკრატიის დროს ქვეყანას თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებით მართავს უმრავლესობა, მაგრამ დაცულია და გარანტირებული უმცირესობისა და თითოეული ადამიანის ძირითადი უფლებები.

ეჰ, ვინ იცის რა ბედი ელის ქართულ დემოკრატიას, მაგრამ დემოკრატიის დაწყვილება კაპიტალიზმთან, ჩვეულებრივი მშრომელი ადამიანისთვის მეტად ბუნდოვანია. თეორიებისა და კაპიტალიზმის ფორმასა და შინაარსზე საუბრისაგან თავს შევიკავებ და აგერ, ჩვენს თვალწინ და ჩვენს ყურისძირში მომხდარ მაგალითებს მოვიტან რას გვიკეთებენ კაპიტალიზმზე გადარეული მთავრობის ხელშეწყობით უკვე „გაკაპიტალისტებული ელემენტები“. ბევრი საოცრებანი ვნახეთ დროულმა ადამიანებმა კომუნისტური ხელისუფლების დანგრევის შემდეგ და რომ გვეგონა ახლა დაგვიდგა აყვავებისა და აშენების დროო, სწორედ მაშინ ჩამოიქცა ცა, ქვეშ მოყვა ყველანი, მაგრამ განსაკუთრებით დამძიმდა პენსიონერებისა და ავადმყოფების მდგომარეობა. არ იცოდნენ სად, რომელ კლინიკა-პოლიკლინიკაში წასულიყვნენ, ვისთვის მიემართად ან სად და როგორ ეყიდათ ის ელემენტარული წამლები, გუშინ რომ ხელმისაწვდომ ფასებში შეიძლებოდა შეეძინათ... მთავრობის დახვეწისა და კაპიტალისტური წყობილების თანდათანობით შემოსვლისა და დამკვიდრების წყალობით დღეს უფრო სასწაული სურათი ჩამოყალიბდა: საავადმყოფოები ჩაყლაპა ფარმაცევტულმა წარმოებამ — ექიმიც და პაციენტიც ფარმაცევტული კორპორაციების საკუთრება გახდა!

ახლა სხვა მხრივ შევხედოთ დამოუკიდებელ და თავისუფალ საქართველოში ჩვენი ნიჭით, ჭკუით და ნებით წაყვანილ საქმეს. „აყვავდა და აშენდა“ ქვეყანა. მარტო ვაკის უბანს რომ გავხედოთ, აქ სასწაულები ხდება, მიმდინარეობს ცათამბჯენების გამალებული მშენებლობა, განა სადმე ტრიალ მინდორში, იქვე ძირძველ მოსახლეობაში. და განა ერთგან! ჭავჭავაძის გამზირზე, სამას, ხუთას მეტრში რამდენიმე ცათამბჯენი შენდება თითქმის ერთდროულად. იქვე, ფალიაშვილის ქუჩაზე ახლახან დაანგრიეს ხუთსართულიანი შენობა, ადრე რამდენიმე დაწესებულებას რომ ეკუთვნოდა და ვინ იცის იქ რის აშენებას აპირებენ... ის კი ვიცით, რომ ამ უბნის მცხოვრებნი მტვრის, ჭუჭყისა და ხმაურისაგან უკვე დაავადებულები არიან, მაგრამ ეს რა არის იმასთან შედარებით, რაც აწია მოსალოდნელი. იმ ცათამბჯენებს, რომ შემდგომში მანქანები, ხმაური, ჭუჭყი, ჰაერის დაბინძურება მოჰყვება, გაუძლებს ის გამზირი ასეთ დატვირთვას? ახლაც კი მთელი ქუჩა მანქანების სადგომად არის ქცეული...

როგორ საცოდავად გამოიყურება ერთ დროს გაშლილ, მწვანე მიდამოში დადგმული ჩვენი ძვირფასი გალაკტიონის ძეგლი, რომლის შთაგონებული სახე პოეზიის უზენაესობას შეგვახსენებდა ხოლმე, ახლა კი სულ სხვა დატვირთვა შეიძინა დიდი პოეტის ძეგლმა, მისი სახის გამომეტყველებამ: „სად გავიქცე, ხალხო!“

სად ვცხოვრობთ დღეს ჩვენ, რომელ ფორმაციაში? აი შეკითხვები ხალხს რომ ძალიან აწუხებს... მაგრამ მთავარი მხოლოდ ეს შეკითხვები როდია! მთავარია — ჩვენი ცხოვრება, ჩვენი ყოფა თავად ჩვენ და ჩვენს მიერ არჩეულმა ხელისუფლებამ ერთად რომ შევქმენით ჩვენივე ჭკუით, ხერხით და განათლებით!

ჩვენ ნიჭიერი ხალხი ვართ?

გულნარა სტურუა

დღეს უფრო სასწაული სურათი ჩამოყალიბდა: საავადმყოფოები ჩაყლაპა ფარმაცევტულმა წარმოებამ — ექიმიც და პაციენტიც ფარმაცევტული კორპორაციების საკუთრება გახდა!

ცოტნე დადიანისა და შოთა რუსთველის დანათესავება: პოეტური აზრის მწვერვალზე

ცოტა დაგვიანებით რომ არ შემეტყო, ხობში თუ ცოტნეობის გამართვას აპირებდნენ, მონდომებით ჩავერეოდი და ამ სახალხო დღესასწაულს პავლე ინგოროყვას სახელითაც შევმატებდი სხივს, მითუმეტეს მისი ის ნარკვევი, რომელიც ამ ეროვნულ გმირსაც უკავშირდება, სულ ახლახან გამომზეურდა ხელმეორედ მისი რუსთველოლოგიური ოთხტომეულის მეორე წიგნში (ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების თაოსნობით მომზადებულში), „რუსთველიანას ეპილოგად“ სახელდებულში.

თუმც ისეთიც რა უშავს:

არ მოხერხდა წელს, მაგრამ აუცილებლად მოებმის თავი მერმის, მითუფრო წიგნით ისეთი გატაცებული ადამიანების გარემოში, ამჟამინდელი ხობიც რომ წარმოგვიდგება, ამ მონოგრაფიასაც გულდასმით რომ დაამუშავებენ ბეჟან ნადარაიასა და ასეთივე სწავლულ ადამიანთა მოწადინებით.

„რუსთველიანას ეპილოგის“ მეორე ნაწილს სამი ნარკვევი რომ შეადგენს, მათგან პირველი ასეა დასათაურებული:

„ძეგლი შოთა რუსთველის ოჯახიდან. შოთას ახლობელნი. პოეტი ქალი ბორენა“.

რა ძეგლი იგულისხმება?

გიორგი მთავარმოწამის ხატი, XII-XIII საუკუნეთა ქართული ხელოვნების ნამდვილი შედევრი, შესრულებული ბექა ოპიზარის სკოლის დიდი ხელოვანის მიერ.

გიორგი მთავარმოწამის ხატი. ძეგლი შოთა რუსთველის ოჯახიდან

დადიანების ოჯახი. ხობის მონასტრის ფრესკა

ძეგლის ზურგის მხარეს დაცულიყო წარწერა შოთა რუსთველის ძმის ტბელი გრიგოლის ძისა, რომელიც იყო მონაპირე სპასპეტი (მხედართმთავარი) ჰერეთის საერისთაოსი თამარ მეფის დროს.

ეს ძეგლი XX საუკუნის დასაწყისამდე ინახებოდა სამეგრელოში, ხობის მონასტერში, რომელსაც განაახლებდა და მოხატავდა ცოტნე დადიანის მამა — შერგილი, რომელიც მონასტრის კედლის მხატვრობაშიც გადასულიყო ცოლშვილთან ერთად, მაშინ როდესაც ცოტნე ათიოდე წლის ყმაწვილი იქნებოდა.

განა რა გზით შეიძლება მოხვედრილიყო ძეგლი შოთა რუსთველის ოჯახისა შერგილ და ცოტნე დადიანთა ოჯახში?

მოსალოდნელია, რომ: მათი დანათესავების გამოისობით.

ფეოდალურ გვარებში დადგენილი წესის თანახმად, ქალისათვის, გათხოვების დროს, აუცილებლად უნდა გაეტანებინათ ხატი, რომელიც მითუფრო ძვირფასი უნდა ყოფილიყო, რაც უფრო დიდი გახლდათ საგვარეულო. და ისე ჩანდა, რომ დადიანთა ოჯახში რძლად მიეყვანათ ქალი ჰერეთის ბაგრატიონთა ოჯახიდან და მას მოეტანა აქ ეს ხატი.

წყაროების სინქრონული შეფარდებიდან პავლე ინგოროყვა დაახლოებით რომ გამოარკვევდა თარიღებს, აღმოჩნდებოდა, რომ შოთა და მისი ძმა ტბელი 30-35 წლით უფროსნი უნდა ყოფილიყვნენ ცოტნესთან შედარებით, ეს კი მიანიშნებდა, რომ ჰერეთის ბაგრატიონთა ქალი, ასული ტბელისა და ძმისწული შოთასი, უნდა ყოფილიყო მეუღლე ცოტნე დადიანისა.

მკვლევარს ისიც უნდა დაედგინა, რომ ცოტნეს მეუღლეს რქმეოდა ბორენა, ამით კი ახალი ფურცელი გადაშლილიყო ქართული პოეზიის ისტორიაში.

ეს ის ბორენა გახლდათ, რომლის იამბიკო ხუთეულიც წარწერილიყო სვანეთში, კერძოდ ლენჯერში დაცულ ხატზე, პავლე ინგოროყვა ამ მხარეში ექსპედიციისას რომ გადმოიწერდა 1931 წელს და ჩვეული ჩაკირკიტებით გამოარკვევდა ავტორის ვინაობას და გაასწორებდა მანამდე ჩვენს მეცნიერებაში დამკვიდრებულ თვალსაზრისს, თითქოს ეს ლექსი ეკუთვნოდა ბაგრატ მეოთხის მეუღლეს.

ექვთიმე თაყაიშვილს უკვე შეემჩნია, რომ წარწერა შეუძლებელია ყოფილიყო XI საუკუნისა და ეჭვი შეეტანა ალექსანდრე ხახანაშვილისა და კორნელი კეკელიძის დაკვირვებაში, პავლე ინგოროყვა კი საბოლოოდ მოჰფენდა შუქს იამბიკო ხუთეულის, ამ პოეტური შედევრის, ავტორის ვინაობას და აღარც ის გაუკვირდებოდა, რომ შოთას პოეტური სამყარო ორგანულად შეთვისებულიყო ბორენას მიერ და შოთას რითმის პულსაცია ბუნებრივად ჩაღვრილიყო ბორენას სტრიქონებში.

ასე უნდა გაგვეცნო შოთა რუსთველის ახლობელნიც, წევრნი დიდად განათლებული, დიდი არტისტული ტრადიციების ოჯახისა: ტბელი, როგორც ავტორი ბრწყინვალე წარწერისა გიორგი მთავარმოწამის ხატზე, და ბორენა, შთაგონებული შოთას პოეზიით.

ასე უნდა გაცხადებულიყო შოთა რუსთველისა და ცოტნე დადიანის ოჯახური დანათესავების ამბავი, და პავლე ინგოროყვას ჩვეული ექსტაზით უნდა აღმოეთქვა, რომ ამ ორი პიროვნების ნათესაობა კიდევ უფრო დიდი იყო, ვიდრე ოჯახური და ხორციელი დანათესავებაა:

— მათ აკავშირებთ უკვდავი ნათესაობა სულისა, მათ აერთებთ სიყვარული სამშობლოსი. როდესაც ცოტნე დადიანი, სამშობლოსთვის თავგანწირული, მივიდა მონგოლებთან და მხრებშეკრული დაჯდა მეგობრების გვერდით, აქ მას, სამშობლოსთვის თავდადებულთა შორის, დახვდა მოხუცი შოთა.

უცხოეთში გადახვეწილი მწერალი და მეცნიერი აკაკი პაპავა, რომელსაც არჩილ ჯორჯაძე უწინასწარმეტყველებდა დიდ მომავალს, აღტაცებული დარჩებოდა პავლე ინგოროყვას ამ დიდტანიანი მონოგრაფიით, ჯერ მხოლოდ „მნათობის“ ფურცლებზე გამოქვეყნებულით, და ემიგრანტულ ჟურნალში „ქართული აზრი“ (ნიუ იორკი, 1983, ოქტომბერი, №59-60) დაბეჭდავდა აღფრთოვანებულ რეცენზიას „რუსთველიანას ეპილოგსა“ და მის განსაცვიფრებელ დამთხვევებზე და გამოხმაურების ქვესათაურად გაიტანდა ბორენას სახელს და რეცენზიის მთავარ ძარღვადაც ამ აღმოჩენას გამოიყენებდა: ბორენას ვინაობის გამორკვევასა და შოთა რუსთველისა და ცოტნე დადიანის დანათესავებას.

და მისთვის ისედაც დიდად პატივსაცემ მკვლევარს მოიხსენიებდა „მოციქულის“ სახელით, ძველი ჟამიდან ახალ დროებაში სასწაულებრივად გადმოსახლებულ პიროვნებად, რომელსაც ეს საიდუმლოც უნდა გაეცხადებინა ჩვენთვის.

მაგრამ... რომ იყვნენ და ახლაც არიან სკეპტიკოსები, რომელნიც არ იზიარებენ ამ აღმოჩენას და საეჭვოდ ხდიან რუსთველ-დადიანთა ოჯახების დამოყვრების ამ ვერსიას, მათი აზრით, ჰიპოთეზას, რომელსაც არსებობის უფლება კი აქვს, ოღონდ მთლად ჭეშმარიტებასთანაც ვერ გავაიგივებთ?!. და ამიტომაც დამატებითი არგუმენტაციის გარეშე დაბეჯითებით ვერ მივიჩნევთ ამ დაკვირვებას საბოლოო დასკვნად.

კოლაუ ნადირაძე სრულებით არ დაგიდევდა სკეპტიკოსთა ამგვარ ეჭვს და შოთა რუსთველისა და ცოტნე დადიანის დამოყვრება-დანათესავების ვერსიას მიიჩნევდა პოეტური აზროვნების მწვერვალად, ამ ნარკვევს კი დიდებულ პოემად, რომელსაც — მისი მტკიცე რწმენით — სავსებით რეალური მეცნიერული საფუძველიც ჰქონდა, ოღონდ რომც არ ჰქონოდა ეს საფუძველი, ისედაც შესანიშნავი იქნებოდა, როგორც ეპიკური ჟანრის ქმნილება.

ამისთვის რომ მწერალს მიეგნო, ამ ორი პიროვნების დამოყვრების შესაძლებლობას მწერლის გონებაში რომ გაეელვა, ჰოი რა რანგის პოემად აქცევდა ანდა სულაც რომანად!..

თუნდ აგერ გრიგოლ აბაშიძეს რომ მოფიქრებოდა, XIII საუკუნის ქართული ქრონიკების ავტორს, ტრილოგიის მესამე წიგნად ცოტნე დადიანის თავგადასავალს რომ განიზრახავდა, მაგრამ ისტორიული ცნობების სიმწირისა და სიუჟეტური ქარგის უქონლობის გამო „ცოტნე ან ქართველთა დაცემა და ამაღლება“ გვირგვინად კი აღარ დაადგებოდა ტრილოგიას, არამედ ყველაზე ნაკლები მხატვრული ძალისა გამოუვიდოდა მწერალს „ლაშარელასა“ და „დიდ ღამესთან“ შედარებით.

არადა უკვე არსებობდა პავლე ინგოროყვას ეს მიგნება და თავისუფლად შეეძლო დასესხებოდა!..

არც ახლაა გვიან და ყოველთვის შეიძლება ამ სიუჟეტური მოდელის გათვალისწინება, თუკი რომელიმე რომანისტი მოინდომებს ორი საიდუმლოებით მოცული პიროვნების — ცოტნე დადიანისა და შოთა რუსთველის — გაცოცხლებას მხატვრულ სიტყვაში, მზამზარეული სიუჟეტური ქარგა ხელთ ექნება პავლე ინგოროყვას ამ მიგნების წყალობით და პერსონაჟთა შორის უსათუოდ გამოერევა ბორენაც, ღვთისმშობლის წინაშე ლოცვად დამდგარი თავისი იამბიკო ხუთეულითაც.

* * *

ცოტნეობა და: პავლე ინგოროყვას სახელის გარეშე?

ცოტნეობა და: შოთა რუსთველის შარავანდის გარეშე?

ცოტნეობა და: ჰერეთისა და ხობის დამოყვრება-დანათესავების გარეშე?

თუმც მერმისი ჩვენს ხელთ არ არის?!.

რუსტომ ჩხეიძე

მემორიალი მართლაც უნდა გადარჩეს!

ახალი ქართული არქიტექტურის დიდოსტატის, თვალსაჩინო ქართველი არქიტექტორის ვახტანგ დავითაიას შემოქმედება, არამარტო ქართული კულტურის შენაძენი, არამედ მეოცე საუკუნის მსოფლიოს ჭეშმარიტ არქიტექტურულ მიღწევათა ექსპოზიციის აუცილებელი და განუყოფელი ნაწილია.



ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის, აკადემიკოს ოლეგ შვიდკოვსკის შეფასებას ქალაქ ქუთაისის მემორიალის „დიდება შრომას“, ჩვენ ქართველი არქიტექტორები დავამატებთ: ეს მემორიალი საოცრად ქუთაისურია, მასში ჩადებულია ამ ქალაქის სტუმართმოყვარეობის, ხელგაშლილობის, იუმორის, სიყვარულის კოდი. მრავალი წელია, ეს მემორიალი ქუთაისის ლოგოდ არის მიჩნეული.

ბოლო ათწლეულში გამეფებულმა უყურადღებობის და დაუფარავი მტრული დამოკიდებულების ტალღამ ეროვნული თვითმყოფადობის მატარებელი ძეგლების მიმართ ქართველი ხალხის დამსახურებული გულისწყრომა გამოიწვია. აუცილებელია დადგეს განკითხვის ჟამი იმ პიროვნებების მიმართ, რომლებმაც ხელთ ჰყვეს ქუთაისის „გამარჯვების მემორიალი“, ზესტაფონის „დაჭრილი არწივი“, გაძარცვეს „ალგეთის ბაზილიკა“, გაანადგურეს ვახტანგ ონიანის ქანდაკება, „ამირანი“, ადგილები მოუნაცვლეს დავით აღმაშენებლის ძეგლებს ქუთაისსა და თბილისში....

მოუვლელობის და უპატრონობის კვალი ატყვია ისეთ მემორიალებს, რომლებითაც საქართველო ცნობილია მსოფლიოს არქიტექტურულ თუ სხვადასხვა შემოქმედებით საზოგადოებებში და რომლებიც შეუნელებელ ინტერესს იწვევდნენ და იწვევენ თანამედროვე ტურიზმის მესვეურთა შორის.

ღრმად ვართ დარწმუნებულნი, ქართული მართმადიდებელი ეკლესიის მიმტევებლური და სიყვარულით გამსჭვალული ბუნება არ გაწირავს ქალაქ ქუთაისის ამ არქიტექტურულ ღირსშესანიშნაობას და აირჩევს გონივრული კომპრომისის გზას — ქალაქის მერის სამსახურთან ერთად გამოიძებნება ახალი შესაფერისი ადგილი „მთავარანგელოზის“ ბაზილიკის ასაშენებლად.

ქალაქ ქუთაისის ისტორიაში მრავლადაა ქართული კულტურის აღორძინების და გამრავალფეროვნების მაგალითები, რომელთა ჩამოთვლა საკმაოდ რთულია და ცალკე წერილისა და განსჯის თემაა, მაგრამ „შრომის მემორიალის“ რეაბილიტაციის მამულიშვილური საქმე მისაბაძი იქნება საქართველოს სხვა ქალაქების თავკაცებისთვის.

არქიტექტორები:

მერაბ გუჯაბიძე, თამაზ დოგრაშვილი, ვახტანგ დოგრაშვილი, მედეა მელქაძე, გიორგი კვიწინაშვილი, გიული გეგელია, ვლადიმერ სიმონია.

თბილისი, 25 აგვისტო, 2016 წელი

ქართული, მხოლოდ ქართული გზა!

მეცნიერთა საინიციატივო ჯგუფისთვისაც კი მოულოდნელი აღმოჩნდა ის დაინტერესება, რომელიც საზოგადოების თითქმის ყველა ფენაში მოჰყვა 12 აგვისტოს, დიდგორობას და გასულ პარასკევს, ფერისცვალებას, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებულ მასალებს.

„ჩვენი სათქმელი თქვით“ – ასეთი შეფასება მოვისმინეთ სოფლადაც, ქალაქშიც, სამეცნიერო, შემოქმედებით, პედაგოგიურ და სამედიცინო წრეებშიც. ბევრი რამ დაუჯერებლად მოეჩვენათ. თუნდაც ის, რაც ჩვენ დავწერეთ თურქეთში, სტამბოლის ახლოს, ჩვენებურის, **ისმეთ აჭარლის** მიერ გაშენებული ქალაქ **„აჭარკენტით“** დაწყებული, საქართველოში სამედიცინო განათლების მიღებულთა მიერ უდიდესი წარმატებებით რუსეთში , ევროპასა და ამერიკაში – გაგრძელებული და აკადემიკოს **მინდია სურგულაძით** დამთავრებული, რომლის ხელმოწერის გარეშე, კოსმოსში მსოფლიოს ვერც ერთი ქვეყანა რაკეტას ვერ გაუშვებს.

მეცნიერთა საინიციატივო ჯგუფის მიერ მოპოვებულ მასალებში, არაერთი მოვლენა და ფაქტია, მსოფლიო მასშტაბით ქართველების მოღვაწეობისა, რამაც გააძლიერა ჩვენი პოზიცია. ჩვენს სახელმწიფოს აქვს არაჯანსაღი სისტემა, რის გამოც შესაძლებელი გახდა, რომ **ამ ინტელექტუალური და გეოგრაფიული პოტენციალის, ადამიანური და ბუნებრივი რესურსების, ამ ტრადიციების ქვეყანა, ასეთ გაჭირვებაში ცხოვრობდეს. რომ ქვეყანაში დარჩენილნი ვიბრძოდეთ არსებობისათვის, ხოლო ქვეყნიდან წასულნი, საკუთარი ნიჭის და შესაძლებლობის რეალიზაციას სხვა ქვეყანაში ახდენდნენ და არ გვქონდეს სისტემა, რომელიც ქვეყნის შესაძლებლობათა მაქსიმუმის მოქმედებაში მოყვანას შეძლებს და არ აიძულებს ხალხს, ცხოვრობდეს ასეთ სიღატაკეში და ტაშს უკრავდეს იმ ხელისუფალთ, რომელნიც ქვეყნის შესაძლებლობის № 5-10 პროცენტის მოქმედებაში მოყვანას გვამადლიდნენ.**

მომავალში ჩვენ ვისაუბრებთ იმ უდიდეს წარმატებებზე, რომელთაც ჩვენი თანამემამულეები აღწევენ მსოფლიო მასშტაბით, სხვადასხვა ქვეყანაში. **ეს იქნება იმედის საუბარი იმედიან ხალხზე.**

დავიწყოთ საქართველოში ნაკლებად ცნობილი, მაგრამ მსოფლიოში აღიარებული ქართველი ფიზიკოსით, **აკადემიკოს ვლადიმერ პაპიტაშვილით.** უმაღლესი საქართველოში დაამთავრა, აქ გახდა მეცნიერების დოქტორი, მოღვაწეობა ჯერ რუსეთში, შემდეგ ამერიკის შეერთებულ შტატებში გააგრძელა და დღეს არის ანტარქტიდაში, სამხრეთ პოლუსზე ამერიკელების მიერ შექმნილი უძლიერესი „ანტარქტიდის კვლევის ცენტრის“ ხელმძღვანელი, რომლის შექმნაზეც ამერიკელებმა ათ მილიარდამდე ფული დახარჯეს. ქართველი კაცი დგას ამ საქმის სათავეში: იდეაც მისია და განხორციელებაც. ჩვენ ვისაუბრებთ ფიზიკოს **თეიმურაზ აბესაძეზე,** რომელმაც უმაღლესი თბილისში დაამთავრა, აქ გახდა დოქტორი, მოღვაწეობდა მსოფლიოს რამდენიმე წამყვან ფიზიკის ლაბორატორიაში და დღეს აშშ-ს წარმოადგენს გერმანიის მსოფლიოში უმსხვილეს ენერგეტიკულ კომპანიაში. სასიამოვნოა რომ ამ დღეებში ჰუმბოლტის საერთაშორისო პრემია გადაეცა ფიზიკოს **გია დვალს,** რომელმაც უმაღლესი საქართველოში დაამთავრა, აქ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და დღეს მსოფლიოში ცნობილი გახდა, როგორც პარალელური სამყაროს თეორიის ფუძემდებელი. დაუჯერებელი ის უნდა იყოს, რომ მსოფლიოში გამორჩეული მეცნიერი-ფიზიკოსების აღმზრდელი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უნიკალური ფიზიკის ლაბორატორია აღარ არსებობს! უდიდესი ინტელექტუალური სიმდიდრე განადგურებულია. ამის გამკეთებელი პოლიტიკური ძალა ფასადური პოლიტიკით იწონებს თავს, გაუგონარი ტყუილებით, სოციალური დემაგოგიით ცდილობს სახელისუფლებო ამბიციის დაკმაყოფილებას.

ხალხს დაუჯერებლად მოეჩვენა ჩვენს პუბლიკაციაში ის, რომ ინტელექტისა და მიწის ქვეყნად მსოფლიოში ცნობილ საქართველოში, სწორედ ძლიერებისა და ინტელექტუალების წინააღმდეგ მიდის ბრძოლა, რომ ღვთით ბოძებული განძი – ქართული მიწა მალე ქართველების არ იქნება, რომ სოფლის მეურნეობის უმაღლესი რანგის სპეციალისტთა ქვეყანაში სამინისტროს არც ერთი ხელმძღვანელი სოფლის სპეციალისტი არ არის, მეტიც, მხოლოდ საკუთარ გარემოცვაში კადრების ძებნამ სხვაგანაც ბევრი პრობლემები შექმნა. ამაზე შემდგომში.

უაღრესად პოზიტიურად ვაფასებთ, რომ წინა პუბლიკაციიდან მეცნიერთა და სპეციალისტთა განსაკუთრებული მხარდაჭერა მიიღო და მოსახლეობაშიც იგივე პოზიცია ჩამოყალიბდა ჩვენს ამ დასკვნასთან დაკავშირებით:

> **ქვეყნის ინტელექტუალური, გეოგრაფიული, ეკონომიკური პოტენციალის, ადამიანური და ბუნებრივი რესურსების მოქმედებაში მოყვანის კანონზომიერებას, ლოგიკას არ ექვემდებარება არც ხელისუფლების ქმედებები, არც პოლიტიკური ძალების, არც ამერიკის შეერთებული შტატების, არც რუსეთის , არც ევროკავშირის ქმედებები საქართველოში. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს ქმედებები კონკრეტულ პოლიტიკურ ჯგუფებზეა გათვლილი და არა საქართველოზე და მის მოსახლეობაზე, არა ქვეყნის გარეთ მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებზე.**
>
> **მილიარდობით დოლარის დახმარებები მივიღეთ გარედან, კოლოსალურ მასშტაბებს აღწევს აღებული სესხების მოცულობა - შესაბამისი შედეგი არ ჩანს.**

ეს, მართლაც, დამაფიქრებელია!

მართლაც სერიოზულად დამაფიქრებელია, რომ ხალხს მოსწონს და ეთანხმება ჩვენს მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს. დამაფიქრებელია, რომ განვლილმა პერიოდმა მეცნიერთა საინიციატივო ჯგუფი დაგვარწმუნა, რომ ხალხთან ურთიერთობის გულწრფელი სისტემაა ჩამოსაყალიბებელი. შთაბეჭდილება გვრჩება, რომ პოლიტიკოსები ელაპარაკებიან თავიანთი პარტიის წევრებს და არა ხალხს. პარტიის წევრები კი იმას ეუბნებიან, რაც მათ სიამოვნებთ. თუ გვინდა ქვეყანა, მწარე სიმართლე უნდა გვერჩიოს ტკბილ ტყუილს. ამ ქვეყნის ბატონ-პატრონი ხალხია და არა ხელისუფლება. მეორე დროებითია, პირველი - მარადიული.

ჩვენ გავაგრძელებთ ღირსეული და ქვეყნისთვის საჭირო ადამიანების წარდგენას. დეტალურად ვილაპარაკებთ იმ ხალხზე, ვის მიმართაც საქართველოს ქალაქებსა და რაიონებში იმედიანი და კეთილი განწყობაა. ვილაპარაკებთ ასეთ ადამიანებზე უცხოეთის ცალკეული ქვეყნების მიხედვით. **ხალხი გვყავს, არ გვივარგა მართვის სისტემა. ჩვენ გვჭირდება სისტემა,** რომელიც ეძებს კარგ ადამიანებს. მიუხედავად იმისა, მათ ჰყავთ ე.წ. პატრონები თუ არა.

* * *

მეცნიერთა საინიციატივო ჯგუფის გადაწყვეტილებით, კომენტარის გარეშე ვაქვეყნებთ 19 აგვისტოს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ ჩვენ მიერ გამოქვეყნებული მასალის იმ დასკვნებსა და შეფასებებს, რომელმაც მოსახლეობის განსაკუთრებული მხარდაჭერა მიიღო.

● პარტიებს გარეთ გაცილებით მეტია ქვეყნისთვის მომართული ძლიერი პოლიტიკოსი, ვიდრე პარტიებში.

იხ. 6 გვ.

მეცნიერთა საინიციატივო ჯგუფის დიდი შემოქმედები

(მეხუთე გვერდიდან)

● დღეს საქართველოს სჭირდება არა მოლაპარაკეთა, არა სოციალურ დემაგოგთა, არამედ კანონშემომქმედთა, პიროვნებათა პარლამენტი.

დღევანდელობის ოთხი უმძიმესი რეალური პრობლემა:

პირველი — მმართველი პოლიტიკური ძალის თვითკმაყოფილება;

მეორე — ოპოზიციის უკვე გამარგინალებასთან მიახლოებული გაბოროტება;

მესამე — საზოგადოების ინდიფერენტულობა, ანუ საზოგადოებაში თითქმის ყველა უბედურების „მერე რა“-თი გამართლების განწყობა;

მეოთხე — საზოგადოების ერთი ნაწილის არჩევნებზე არმისვლით ტრაბახი (დემოკრატიული სამყაროს გამოცდილება ადასტურებს, რომ სწორედ მათ მოჰყავთ ცუდი მთავრობა, ვინც არჩევნებზე საკუთარი ხმის უფლებას არ იყენებს).

● **ჩვენ უნდა დავაფასოთ** გამოცდილი ადამიანები. ყველგან იყვნენ სახელმწიფოებრივად მოაზროვნე პოლიტიკოსები და ზნეობრივი ადამიანები, **ზვიად გამსახურდიას** გარემოცვაშიც, ედუარდ შევარდნაძის პერიოდის პარლამენტშიც, **ასლან აბაშიძესთანაც, მიხეილ სააკაშვილთანაც, ბიძინა ივანიშვილთანაც,** დღევანდელ ხელისუფლებაშიც.

ჩვენი ამოცანაა საზოგადოებასთან ურთიერთობაში შევძლოთ ასეთი ადამიანების სახელისუფლებო არენაზე გამოსვლა, მაგრამ რამდენიმე პირობით, მხოლოდ ისინი, ვინც:

— ხელისუფლებაში ყოფნის დროს სახე შეინარჩუნა, გაუძლო ცდუნებას;

— არ გაბოროტდა ოპოზიციაში ყოფნის დროს;

— სწამს და სჯერა, რომ არ შეიძლება პოლიტიკის ბიზნესად გადაქცევა და ხელისუფლებაში ბიზნესინტერესებით ყოფნა;

— დღესაც აქვს დიდ და კეთილ საქმეთა კეთების რესურსი.

* * *

● ჩვენი პოზიცია მყარია: **ქვეყანა ერის ბუნებიდან გამომდინარე უნდა იმართებოდეს! ეს არ ნიშნავს ჩაკეტილობას. ქართული ყოველთვის იყო ნაზიარები პლანეტარულთან. ასე იყო და ასე იქნება, თუ ავირჩევთ არა ლაპარაკით, არამედ აზროვნებით ქართული ცნობიერების ადამიანებს, თუ უარს ვეტყვით ურაპატრიოტებსაც და გლობალისტებსაც.**

* * *

● **ჩვენ უნდა გვინდოდეს,** რომ საქართველოს პარლამენტში, ზოგადად ხელისუფლებაში, წარმომადგენლები ჰყავდეს არა მარტო საქართველოს რეგიონებს, არამედ საზღვარგარეთის ქვეყნებში ისტორიულად, თუ ბედის უკულმართობით, საკუთარი თავისა და ოჯახის გადასარჩენად გადახვეწილ საქართველოს მოქალაქე თანამემამულეებს — ისე, როგორც ეს ხდება ევროპის დემოკრატიულ ქვეყნებში.

● **დღევანდელ საქართველოს ჰაერივით სჭირდება** ამ ადამიანების გამოცდილება. ქვეყანაც გამთლიანდება მათი პარლამენტში ყოფნით და წარმოუდგენლად გაიზრდება ქვეყნის საერთაშორისო ავტორიტეტი. ქვეყნის გარეთ მცხოვრებ 2 მილიონზე მეტი ადამიანის სახელით უნდა შევძლოთ ისეთი ადამიანების პოლიტიკურ არენაზე გამოყვანა, ვისაც:

— კარგი კონტაქტები აქვთ იმ ქვეყნის სახელისუფლებო წრეებთან;

— დიდი ავტორიტეტი აქვთ ქართულ დიასპორაში;

— კარგი რეპუტაციით სარგებლობენ ადგილობრივ მოსახლეობაში.

> **... გლახები და მონები იმიტომ კი არ ვართ, რომ ღატაკნი ვართ, არამედ ღატაკნი მიტომ ვართ, რომ გლახები და მონები გახლავართ!“**
>
> **დიმიტრი უზნაძე**

ქვეყნის გარეთ საქართველოს უდიდესი შესაძლებლობების ადამიანები ჰყავს. საუბარია როგორც ინტელექტუალურ, ასევე პოლიტიკურ პოტენციალზე, როგორც ადამიანურ, ასევე ფინანსურ რესურსებზე.

* * *

● **ყველგან გამოთქვეს წუხილი იმის გამო, რომ პარლამენტარებს აკლიათ გამოცდილება, ხალხთან ურთიერთობის კულტურა, პროფესიონალიზმი. ხალხი გვეუბნება: ნუ შეგვაძულებთ ჩვენს საყვარელ მსახიობებს, სპორტსმენებს, ხელოვნების მოღვაწეებს... მათ ხელოვნებასა და სპორტში შეუძლიათ აკეთონ გაცილებით დიდი ეროვნული საქმე, ვინემ პარლამენტში მათი ყოფნით. გვეუბნებიან: პარლამენტს ძირითადად სჭირდება იურისტები, დიპლომატები, ეკონომისტები, ფინანსისტები, ფილოსოფოსები პოლიტოლოგები, სოციოლოგები, ფსიქოლოგები.**



მომავლის პრიორიტეტები

პირველი — განათლება და მეცნიერებაა სახელმწიფოს საძირკვლის უპირველესი ქვაკუთხედი. ჩვენი წევრი და მეგობარი მეცნიერები დიდი ხანია, მუშაობენ ამ პრობლემაზე;

მეორე — მეწარმეობის დაცვის გარეშე არ არსებობს ეკონომიკის მდგრადი განვითარების ელემენტარული იმედიც კი. დაცული მეწარმეა ქვეყნის ძლიერების ქვაკუთხედი. მეწარმე კი დაცული უნდა იყოს ინსტიტუციონალურად და არა ხელისუფალის პირადი შეხედულებებისა და ახლობლობის მიხედვით. ხელისუფლებამ მეწარმე უნდა დაიცვას თავისუფალი და პატიოსანი კონკურენტული გარემოს შექმნისა და შენარჩუნების უზრუნველყოფით;

მესამე — კულტურა და მეცნიერება, ეროვნული და პოლიტიკური ოპტიმიზმის საფუძველი. სწორედ ოპტიმიზმი სჭირდება ნიჰილიზმით, პესიმიზმითა და სიძულვილით გაჯერებულ ქართულ სივრცეს.

მეოთხე — ქართული სოფელი, როგორც ქვეყნის უძველესი კულტურული ფენომენი.

საქართველოს სჭირდება ხელისუფლება, რომელიც ზემოთ აღნიშნული ოთხი პრიორიტეტული მიმართულების საერთო-სახალხო განხილვის საფუძველზე შეიმუშავებს პროგრამას გარე სამყაროსთან ურთიერთობისა — ქართული ინტელექტითა და ქართული ბიზნესით, ამ სიტყვის ყველაზე მაღალი, ფილოსოფიური გაგებით.

* * *

ყალბი და არაქართულია ქვეყნის გარეთ მხსნელის ძებნა... გარეთ მხოლოდ მეგობრები უნდა ვეძებოთ და არა პატრონები. საქართველოს მსახური ცუდი ხელისუფლებაც კი ათასგზის სჯობს გარედან მართულ და გარედან ნაქებ-ნადიდებ ხელისუფალთ!

* * *

ერთობა არის იმ ქვეყანაში, სადაც არის ნიჭის ძალაუფლება, სადაც პატივს მიაგებენ ძლიერს და იცავენ სუსტს, სადაც მასწავლებელი, ინტელექტუალური სფეროს წარმომადგენლები და მეწარმე ჰყავთ ხელისგულზე და ფეხქვეშ ეგებიან, უვლიან და ეფერებიან ბავშვს, ახალგაზრდობას.

* * *

გენიალურად თქვა მსოფლიოში აღიარებულმა მეცნიერმა, „განწყობის თეორიის“ ფუძემდებელმა, დიმიტრი უზნაძემ: “... გლახები და მონები იმიტომ კი არ ვართ, რომ ღატაკნი ვართ, არამედ ღატაკნი მიტომ ვართ, რომ გლახები და მონები გახლავართ!“

ქართული, მხოლოდ ქართული გზა!

ქართული, მხოლოდ ქართული გზა!

დიდი პროცესი დაიწყო. საქართველო, მართლაც, სავსეა ზნეობრივი ადამიანებით. საქართველოს უდიდესი პოტენციალის ადამიანები ჰყავს როგორც ძვეყნის შიგნით, ასევე ძვეყნის გარეთ. მეცნიერთა საინიციატივო ჯგუფმა ხალხთან, საზოგადო მოღვაწეებთან, მეცნიერებთან დათათბირებით და კონსულტაციებით, უკვე შეადგინა ათას კაცზე მეტი მართლაც, იმედიანი პიროვნების სია. როგორც ჩანს, ჩვენი უპირველესი სიმდიდრე სწორედ, ინტელექტუალური და ამავე დროს, კარგი ორგანიზატორული თვისებების მქონე ადამიანებია.

განვიხილავთ რამდენიმე ვარიანტს. როგორ მივაწოდოთ მოსახლეობას ინფორმაცია ამ პიროვნებების შესახებ რეგიონების მიხედვით. უცხოეთის სახელმწიფოების მიხედვით, სპეციალობებით თუ სხვა მონაცემებით. მოსაზრებას ჩვენი გადაწყვეტილების თაობაზე, „საქართველოს რესპუბლიკის“ შემდეგ ნომერში გამოვაქვეყნებთ. ვიდრე რამდენიმე გვარს წარმოვადგენდეთ, გვინდა რამდენიმე პრინციპული ხაზგასმა გავაკეთოთ.

პირველი — აშკარაა, რომ საქართველოში პოლიტიკოსები ცნობილ მოღვაწეებსა და საერთოდ, ცნობილ ადამიანებს უფრო იყენებენ, ვიდრე აფასებენ. **აშკარაა, რომ** პოლიტიკოსები — განსაკუთრებით სახელისუფლებო პარტიები, სპეკულირებენ ახალგაზრდებით, ვიდრე მათ რეალურად უჭერდნენ მხარს.

მეორე — დამოუკიდებელი საქართველოს საკადრო პოლიტიკამ სახელისუფლებო რგოლებს აკადემიზმი წაართვა, გაამეფა პრივიტიმიზმი. საქმეზე ფიქრის ნაცვლად, ერთმანეთთან ჭორაობას უნდებიან. ქვეყანა ჭორის გავრცელების და ჭორაობის ინსტიტუტებად აქცია.

მესამე — დამანგრეველი აღმოჩნდა თაობათა დაპირისპირების გარედან შემოგდებული ე.წ. პოლიტიკა.

მეოთხე — საქართველოში მოხდა ყველას და ყველაფრის პოლიტიზება. უსამართლობის გამო დაღუპული ბიჭების ხსოვნით დაწყებული, გაჭირვებულებზე დახმარებით გაგრძელებული, ქუჩის ასფალტის დაგებით დამთავრებული. შემაძრწუნებულია, რომ ეკლესია-მონასტრების მშენებლობა იქცა პოლიტიკაში მოსვლისა და დამკვიდრების საშუალებად. ჩვენ ამ და სხვა ბევრ საკითხზე დროდადრო ჩვენს პოზიციას, ჩვენს შესწავლილ მასალებს საზოგადოებას მივაწვდით. ჩვენ ისიც გვინდა, რომ საზოგადოებამ თავად გამოხატოს ამ საკითხებისადმი თავისი პოზიცია.

სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ, რომ ყოველ ორშაბათს, 19 საათზე, ტელევიზია „ქართული ტვ“ დისკუსიას გამართავს თემაზე: ქვეყნის ბატონ-პატრონი ხალხია და არა ხელისუფლება“. ჩვენ პარალელურად ვსწავლობთ მსოფლიოს წარმატებული ქვეყნების გამოცდილებას ეკონომიკის, სოციალური პოლიტიკის, დემოკრატიის თვალსაზრისით და ამის თაობაზეც გავაცნობთ ჩვენს მოსაზრებებს საზოგადოებას. დღეს ერთი რამის თქმა შეგვიძლია: რაც უფრო მეტი ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციები შეიქმნა ქვეყანაში უცხოეთიდან კოლოსალური დაფინანსებით, მით უფრო დაუცველი გახდა ადამიანი და მისი უფლებები. გინახავთ რომელიმეს პრინციპული პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს მოსახლეობის 80-90 პროცენტი ვერ იღებს იმ კალორიების მინიმუმს, რომელიც სიცოცხლისა და არსებობისთვისაა აუცილებელი? გვინახავს, ამათგან ვინმეს რომ დაეცვას პენსიონერის, უპოვარის, მასწავლებლის, ექიმის, თუნდაც სტუდენტი ახალგაზრდობის უფლებებ? ყველა პატიმრებზეა ორიენტირებული და რევოლუციები, სახელისუფლო ცვლილებები ციხეებიდან იწყება. როგორ არ დავფიქრდეთ იმაზე, რომ რაც მეტი პიროვნება შემოვიყვანეთ სახელისუფლებო რგოლებში, მით უფრო დაუცველი გახდა საქართველოს ბუნება, ქართული მიწა-წყალი და ერთ-ერთი ყველაზე დიდი უბედურება — კვების პროდუქტები. შიმშილის ზღვარზე მყოფმა აფრიკის ყველა სახელმწიფომ არ დაუშვა თავის ქვეყანაში გენმოდიფიცირებული კვების პროდუქტები. საქართველოში? უამრავმა ქვეყანამ, ბოლოს კი შვედეთმა, აკრძალა ხის მოჭრა თავის ქვეყანაში. საქართველოში?

ჩვენ ამ და სხვა თემებს სადისკუსიოდ გთავაზობთ და ვეძებთ იმ ადამიანებს, ვისაც შეუძლია საქვეყნო და ეროვნული ინტერესების დაცვა. ჩვენ ისიც გვაფიქრებს, რომ ასეთ ადამიანებს არც ქვეყანაში აფასებენ და არც ქვეყნის გარედან იწვევენ. თუ ჩამოვიდა, ისეთი ავადმყოფური სისტემაა, რომ ჯანსაღი აზროვნების ადამიანს ვერ გუობს. ამ შეფასებების ფონზე, წარმოგიდგენთ რამდენიმე ადამიანს, ვინც, დარწმუნებული ვართ, საიმედო განწყობას შეგიქმნით, ყოველ შემთხვევაში, უმრავლესობას მაინც.

ყველას ახსოვს ქუთაისში, ქალაქის მერობის კონკურსში გამარჯვებული, უნიკალური ბიოგრაფიის მქონე პიროვნება, ქალაქისათვის გამორჩეული ოჯახიშვილი **დიმიტრი კოპალიანი.** მან დაამთავრა ქუთაისის სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტი, დიდ ბრიტანეთში უელსის უნივერსიტეტის მაგისტრატურა, აშშ-ში მიჩიგანის უნივერსიტეტის მაგისტრატურა და ლოურენსის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის სადოქტორო სამეცნიერო პროგრამა. ამჟამად მოღვაწეობს ამერიკაში. არის მიჩიგანის და ლოურენსის ტექნოლოგიური უნივერსიტეტების პროფესორი. არის ბეიკერის კოლეჯის მრჩველთა საბჭოში, ჯენერალ მოტორსის ბიზნესის არქიტექტურის ხელმძღვანელი, დეტროიტის ეკონომიკური კლუბის წევრი.

არ უნდა გვაფიქრებდეს და გვაკვირვებდეს, რომ ასეთი ბიოგრაფიისა და გამოცდილების ადამიანი, რომელიც დღესაც ხელისგულზე ჰყავთ ამერიკაში, რატომ ვერ იგუა ჩვენმა ავადმყოფურმა სისტემამ?

მიუხედავად ახალგაზრდული ასაკისა, უნიკალური ბიოგრაფია აქვს ბატონ **ალექსანდრე ოჩიგავას.** დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობათა ფაკულტეტი, საქართველოშივე დაიცვა დისერტაცია. წლების განმავლობაში ცხოვრობდა, სწავლობდა და მოღვაწეობდა ავსტრალიაში. როგორც დღეს ჩვენთვის ცნობილია, სწორედ იქ დაეუფლა უნიკალურ პროფესიას — სატელევიზიო მენეჯმენტს. ვერ გუობს ასეთ კადრებს ჩვენი დაავადებული სისტემა.

ერთ-ერთი გამორჩეული და უნიკალური ბიოგრაფიის მქონეა ბატონი **პარმენ მარგველაშვილი.** სერიოზული მეცნიერი, მკვლევარი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი და ყოფილი პრორექტორი. ანდრია პირველწოდებულის უნივერსიტეტის ყოფილი რექტორი. შოთა რუსთაველის უნიკალური გამოცემის ავტორი. ეს პიროვნება მოდის ეროვნული მოძრაობიდან და ამის გამო იყო დეპუტატად არჩეული. უმძიმესი პრობლემებით ცხოვრობს. წინა ხელისუფლებას სერიოზული პროექტისთვის მიწის ნაკვეთი სთხოვა, ათიათასობით ქონება პრეზიდენტმა სააკაშვილმა საჩუქრად ერთ ლარად გადასცა თავის პოლიტიკურ მეგობრებსა და უცხოელ მხარდამჭერებს, მარგველაშვილისთვის კი ვერ გაიმეტა.

წარმოუდგენელი შედეგები აქვს ქართველ კაცს საბერძნეთში, მეცნიერების დოქტორმა და პროფესორმა **ავთანდილ მიქაბერიძემ** საბერძნეთის დედაქალაქ ათენში ქართული კულტურის ცენტრი დააარსა, მისხალ-მისხალ საქმის კეთებით უმძლავრეს ცენტრად აქცია და იქ მყოფი ქართველები სულიერად გააერთიანა. ათენში და საბერძნეთში მცხოვრები ქართველი მიგრანტების სამედიცინო დაცვაზეც ზრუნავს. ჩვენ ვისურვებდით, რომ ასეთი ადამიანი საბერძნეთში მცხოვრები ჩვენი მოქალაქე თანამემამულეების წარმომადგენელი ყოფილიყო პარლამენტში.

დღეს ხარაგაულში რომ გავიაროთ და გულწრფელად გავესაუბროთ მოსახლეობას, დეპუტატადაც, რაიონის ხელმძღვანელადაც, ყველაზე დიდი მხარდაჭერა **დავით სახვაძეს** ექნება. მეცნიერი კაცი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ჯერ კიდევ ახალგაზრდა და ხუთი შვილის მამა, უწესიერესი კაცი. სისტემამ ვერც ის იგუა და შესწირეს საყდრისის დაცვას. მის ჯგუფსა და მას უდიდესი წინადადებები აქვს ქართულ მეტალურგიასთან დაკავშირებით. ვის აინტერესებს?

ერთ-ერთი გამორჩეული მეცნიერია პროფესორი, დოქტორი **ამირან აფციაური.** ის შედის ტესლას მიმდევართა საერთაშორისო გუნდში. მას მეტად სერიოზული წინადადებები აქვს ენერგიის არასტანდარტულ წყაროებთან და საერთოდ, ენერგეტიკასთან დაკავშირებით. ვის აინტერესებს? ბრძოლით კი მაგრად ებრძვიან.

ის, რასაც პროფესორი, დოქტორი **თემურ ზარქუა** აკეთებს, ჩვენთვისაც დაუჯერებელი იქნებოდა, რომ ყველაფერი საკუთარი თვალით არ გვეხილა. გვყავს კაცი და მისი პატრონაჟით კომპიუტერული პროგრამირების დიდი ჯგუფი, სტუდენტთა საერთაშორისო ოლიმპიადებზე უდიდესი შედეგებით. ვის აინტერესებს?

სერიოზული კვლევები და დასკვნები აქვთ მეცნიერთა ჯგუფს მეცნიერების ახალი მიმართულების — ნოოლოგიის თვალსაზრისით. ჩვენ გაოცებული დავრჩით ბატონებთან **ლაშა შამათავასა და ზურაბ წოწონავასთან** შეხვედრით. გული გვწყდება, რომ ჯერჯერობით არ აქვთ მათ სახელისუფლებო მხარდაჭერა.

უაღრესად საინტერესოდ გვეჩვენება ის მოსაზრებები, რომელიც გამოცდილ დიპლომატს, საინტერესო მეცნიერს, პროფესორ **ზურაბ ხონელიძეს** აქვს კავკასიის რეგიონთან დაკავშირებით. გვინდა გვჯეროდეს, რომ დაგვიანებით, მაგრამ ეს მეტად მნიშვნელოვანი საკითხი მაინც გახდება ფართო განხილვისა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების საფუძველი.

ჩვენ გაგვაოცა ქარელიდან გერმანიაში იძულებით წასული სამი დედმამიშვილის, **ძასოხაშვილების** ბიოგრაფიამ და მოღვაწეობამ უცხოეთში. ისინი ნამდვილი ოსები არიან და როგორც ყოველი ნამდვილი ოსი, დიდი მეგობრობის გრძნობითაა საქართველოსა და ქართველი ხალხის მიმართ. ზუსტად ისე აქვთ გერმანიაში მოწყობილი ეზო-გარემო, როგორც ქარელში და ამ პატარა საცხოვრისს ქარელი ჰქვია.

ჩვენ ყველას გვახსოვს დიდი მოძრაობა „ერთსულოვნება“ და მისი ერთ-ერთი გამორჩეული ლიდერი **მიხეილ ანდღულაძე.** ახალგაზრდა კაცი, საქმის დიდი გამოცდილებით, ხუთი შვილის მამა. ამ მოძრაობას მიაჩნდა, რომ დანაშაული იყო სააკაშვილისთვის პრეზიდენტობის ერთი წლით გახანგრძლივება. დრომ დაადასტურა, რომ ამ მოძრაობას და ბატონ მიხეილ ანდღულაძეს, სწორზე სწორი პოზიცია ჰქონდა და ნაცვლად იმისა, რომ ასეთი ადამიანისთვის ხელი შეეწყოთ, უმუშევრობა მიუსაჯეს.

ჩვენ დავრწმუნდით, რომ უაღრესად ეროვნულ და კეთილშობილ საქმეს აკეთებს ბათუმში მოქმედი „მამულიშვილთა საგვარეულო კავშირი“ და მისი ხელმძღვანელი **ნიაზ ბოლქვაძე.** მეცნიერი, მწერალი, საზოგადო მოღვაწე, ძლიერი გუნდითა და მოსახლეობის დიდი მხარდაჭერით. ისინი წლების განმავლობაში იბრძვიან, რომ საქართველოს ოსმალებისგან აჭარის განთავისუფლების დღე ეროვნულ დღესასწაულად გამოცხადდეს ისე, როგორც ამას თურქები აღნიშნავენ. ეს არის პრინციპული საკითხი, საქართველოში კი, ეშინიათ, ვაითუ, თურქები გაგვინაწყენდნენო. ყველაზე ცუდი ის გახლავთ, რომ ასეთ ავტორიტეტულ ადამიანებს, და ასეთი აჭარაში უამრავია, საერთოდ არ აკარებენ სახელისუფლებო რგოლებს.

ჩვენ აჭარასთან, ისევე, როგორც სხვა რეგიონებთან, სერიოზულად ვმუშაობთ და ძალზე გვახარებს, რომ შევხვდით უამრავ ადამიანს პროგრესული აზროვნებით, სახვალიო განწყობითა და ტრადიციისადმი უდიდესი პატივისცემით.

ჩვენ დღემდე ვამაყობთ იმ დიდი საუბრით, რომელიც საქართველოს ერთ-ერთ გამორჩეულ პოეტთან, საზოგადო მოღვაწესთან, ბატონ **შოთა ზოიძესთან** და მისი ორგანიზებით ბათუმის საზოგადოებასთან გვქონდა. ეს იყო საუბარი და ფიქრი მომავლის საქართველოზე. ჩვენ წინა ნომერში ვთქვით, რომ ქართველ ხალხში მადლიერების დიდი გრძნობაა და ეს ვაჩვენეთ სამეგრელოს მაგალითზე. იგივე განწყობა ვიგრძენით ბატონ შოთა ზოიძის მიმართ საზოგადოებაში და არა მარტო აჭარაში.

ძალზე მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს ჰყავს ისეთი მოღვაწეები, მწერლები, მხატვრები, მუსიკოსები და მეცნიერები, ვისითაც მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყანა იამაყებდა.

ბატონმა **მერაბ ბერძენიშვილმა** უნიკალური რამ გვითხრა: ნონა გაფრინდაშვილი კინოთეატრშიც რომ შევა, ყველანი ფეხზე უნდა წამოვუდგეთო. აი, ეს არის საქართველო, როცა გყავს **მერაბ ბერძენიშვილი, ნონა გაფრინდაშვილი, მზექალა შანიძე, ეთერ ქემერტელიძე, თამაზ გამყრელიძე, მარიკა ლორთქიფანიძე, გურამ თევზაძე, მერაბ კოკოჩაშვილი, გიგა ბათიაშვილი, გივი თოიძე, დავით მუსხელიშვილი, რეზო ესაძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, ანზორ ერქომაიშვილი, რომან რურუა, რეზო ამაშუკელი, რეზო გაბრიაძე, ომარ მხეიძე, არნოლდ გეგეჭკორი, რადიშ თორდია, ტარიელ ჭანტურია, ლია სტურუა...** შეცდომა დავუშვით, რომ ჩამოთვლა დავიწყეთ, რადგან ჩვენ ამ ხალხით ვართ მდიდარი. უნდა ამაყობდე ამ ხალხით და მათი გაპოლიტიკოსობა და გაპარლამენტარება კი არ უნდა გინდოდეს, არამედ ისეთი პარლამენტი და საერთოდ, ხელისუფლება უნდა გინდოდეს, რომელმაც იცის ამ ხალხის ფასი, ვინც იცის საქართველოში პედაგოგის ფასი, ვინც იცის საქართველოში ექიმის ფასი, მეცნიერის ფასი, ვინც იცის გლეხის, მუშის, ნებისმიერი პროფესიის ადამიანის ფასი.

და კიდევ ერთი და მნიშვნელოვანი: ბიზნესმენი კი არ უნდა გინდოდეს პარლამენტში, ეს ქვეყნის დაქცევის მაჩვენებელია, ისეთი პარლამენტი უნდა გინდოდეს, რომელმაც იცის ბიზნესის და ბიზნესმენის ფასი, ასეთი საქართველო გვინდა, პარლამენტიც და ხელისუფლებაც — ასეთი ხალხით!

ჩვენ ერთად უნდა ვეძებოთ ასეთი ადამიანები და უნდა შევძნათ მართვის ისეთი სისტემა, რომელიც კი არ ებრძვის ძლიერს, არამედ ეძებს მას. ჩვენ ასე შევძნით 21-ე საუკუნის დიდგორის ლაშქარს, ერთ მუშტად შეკრულ სიკეთეს, სიძულვილის სიყვარულით დასამარცხებლად!

იხ. 8 გვ.

მხოლოდ ქართული გზა!

მთავარი დასკვნა:

ქვეყნის დამოუკიდებელი არსებობის 25-მა წელმა არ მოგვცა ის შედეგი, რომელიც ყველასთვის სასურველი იყო. ნათელია, რომ საქართველო კატასტროფულად აგვიანებს, გახდეს სტაბილური სახელმწიფო, დღემდე არსებულმა ვერც ერთმა ხელისუფლებამ ვერ შეძლო ქვეყნის პოტენციალის 10 პროცენტზე მეტის ამოქმედება, ქვეყნის გარეთ, ჩვენ გამუდმებით ან საომარ, ან წინასაომარ მდგომარეობაში ვართ, ქვეყნის შიგნით — ხელისუფლების განდევნისათვის მუდმივ ბრძოლაში, რისი პრეცედენტიც დამოუკიდებლობის აღდგენის პირველსავე ეტაპზე შევქმენით.

ქვეყანას სჭირდება ხანგრძლივ პერიოდზე გათვლილი განვითარების მეცნიერული პროგრამა, ქვეყანას სჭირდება განვითარების ბიუჯეტი. ყველა ხელისუფლების მიერ, 25 წლის განმავლობაში, ხალხის სატყუარად შემოგდებული სოციალური ბიუჯეტის ნაცვლად.

ჩვენ, მეცნიერები, ექსპერტები, საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის წარმომადგენლები, რომელთა დიდი ნაწილი, ჯერ კიდევ 2006 წელს ვიდექით ეროვნული ყრილობის მოწვევის აუცილებლობის სათავეებთან, შევიკრიბეთ და მეცნიერთა ფართო წრეების, საზოგადო მოღვაწეების წარმომადგენელთა მონაწილეობით დავიწყეთ ქვეყნის პოტენციალის, ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესწავლა და იმ კონკრეტული პროგრამის შემუშავება, რომელიც საშუალებას მოგვცემს მაქსიმალურად გამოვიყენოთ ქვეყნის უდიდესი პოტენციალი.

რა პოტენციალი აქვს საქართველოს, რა მდგომარეობაშია დღეს რეალურად და პროგრამა , რომელიც ამ პოტენციალს მოიყვანს მოქმედებაში — აი, რაზე ვმუშაობთ ჩვენ. აი, რატომ გვინდა დიდი ერთობა, როგორც პროგრამის შედგენის პერიოდში, ასევე შემდგომ მისი რეალიზაციისთვის.

ჩვენ ვართ მეცნიერთა იმ ჯგუფთან ერთად, რომელმაც შეიმუშავა უდიდესი პროექტი — „ქვეყნის აღმშენებლობის ახალი ეკონომიკური კონსტიტუცია“, რომელშიც კონკურენტუნარიან დეტერმინანტული უპირატესობის მქონე ერთადერთ რესურსულ პოტენციალზე „წყალი — ეროვნული სიმდიდრეზეა“ აქცენტები გამახვილებული. დიახ, საქართველო არის ერთ-ერთი უმდიდრესი ქვეყანა მთელ სამყაროში უმაღლესი ხარისხის წყლის რესურსების სახელმწიფო მარაგების სახით და მისი მატერიალური ფასეულობა გაზისა და ნავთობის მფლობელი ქვეყნების სიმდიდრესაც კი აჭარბებს. ამაზე უფრო დეტალურად, შემდგომში. ამ ეროვნულ საქმეს, საქმეს, რომელიც ქვეყანას უსწრაფესი გზით გამოიყვანს სოციალურ-ეკონომიკური კრიზისიდან და მიღწეული იქნება უმთავრესი პირობა - მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლება — მეცნიერთა საინიციატივო ჯგუფის წევრი, კონცეფცია-პროგრამის ავტორი, აკადემიკოსი **პაატა გიორგაძე** უდგას სათავეში.

ჩვენ ვართ მეცნიერთა იმ ჯგუფთან, ვისაც უკვე აქვს **სოფლის განვითარების დიდი პროექტები.**

ჩვენ ვართ მეცნიერთა იმ ჯგუფთან, რომელიც დიდი **ტესლას საქმის გამგრძელებლები** არიან საქართველოში.

ჩვენ ვართ მეცნიერთა იმ ჯგუფთან, რომელიც დგას ახალი მეცნიერების, **ნოოლოგიის სათავეებთან** საქართველოში.

ჩვენ ვართ მეცნიერთა იმ საერთაშორისო ჯგუფებთან, რომლებიც არიან **„ბედნიერების ინსტიტუტის“ დამფუძნებლები. იმ მეცნიერებთან,** რომლებსაც მიაჩნიათ, რომ იმიჯმაიკერების დამანგრეველი ეპოქა დემოკრატიის ქვეყნებში დასრულდა. საქართველოში კი, ფასადური დემოკრატია ყვავის. **იმ მეცნიერებთან** ერთად, რომლებიც თვლიან, რომ მთავარია არა იმიჯი, არამედ ადამიანის რეპუტაცია — მისი ცხოვრების წესი, მის მიერ განვლილი გზა.

ჩვენ ძალიან გვაწუხებს, რომ საქართველოს სახელისუფლებო ინსტანციებმა უყურადღებოდ დატოვეს ქართული კულტურის მოღვაწეების წინადადება **შოთა რუსთაველის 850 წლისთავისა და ყოველთა ქართველთა, საქართველოს შვილთა და საქართველოს მეგობართა მსოფლიო კონგრესის** ერთ დიდ ქართულ პროცესად გადაქცევის თაობაზე. ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს შეძლეს **დიდი პოეტის 800 წლისთავის, პრაქტიკულად, მსოფლიო მასშტაბით აღნიშვნა. ეს, მართლაც მსოფლიო დღესასწაული იყო. დამოუკიდებელ საქართველოში — დანაშაულებრივი სიწყნარეა ამ უდიდეს მოვლენასთან დაკავშირებით... არჩევნები და სკამისთვის ბრძოლა უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდა...**

ასე გაგრძელება აღარ შეიძლება!

ჩვენ დღეს, დამოუკიდებელ საქართველოში კიდევ უფრო მეტი უნდა შევძლოთ. ჩვენ უნდა შევძლოთ, რომ მომდევნო წელს, და ალბათ იმის შემდგომაც, დიდი მგოსნის 850 წლისთავი გაცილებით მასშტაბური გახდეს, იუნესკომ მიიღოს გადაწყვეტილება ამის თაობაზე და ეს იუბილე აღინიშოს არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში.

სწორედ ამიტომ უნდა მოვიწვიოთ ყოველთა ქართველთა, საქართველოს შვილთა და საქართველოს მეგობართა მსოფლიო კონგრესი მომდევნო წლის შემოდგომაზე. შოთა რუსთაველის სახელთან დაკავშირებულმა ამ დიდმა საერთაშორისო ფორუმმა უნდა შეგვაძლებინოს საქართველოს შვილთა და საქართველოს მეგობართა დიდი მობილიზება, როგორც ქვეყნის შიდა პრობლემების გადასაწყვეტად, ასევე ქვეყნის საერთაშორისო ავტორიტეტის ასამაღლებლად. ამ გენიალურმა პოეტმა და მსოფლიო კონგრესმა უნდა გაგვაერთიანოს მთელ მსოფლიოში მიმობნეული საქართველოს შვილები და საქართველოს ნამდვილი მეგობრები, რომ მსოფლიომ კიდევ ერთხელ აღიდგინოს მეხსიერებაში, თუ რა წვლილი აქვს შეტანილი მსოფლიო საგანძურში რუსთაველის იდეოლოგიაზე აღზრდილ ერს.

მომავლის პროგრამებიდან დღეს სასაუბროდ კიდევ სამს გამოვყოფთ:

პირველი — ბანკები და საქართველოს მოსახლეობა;

მეორე — შუალედური ფირმები — კორუფციის ბუდე და ქართული ეკონომიკის მტერი;

მესამე — საქართველო, ნედლეულით ვაჭრობის თუ მეცნიერებატევადი დარგების ქვეყანა.

ჩვენ მეცნიერულად გავაანალიზებთ ამ პრობლემებს. გვაქვს იმედი, რომ ინფორმაციის საშუალებები დაგვეხმარება სიმართლე ხალხთან მივიტანოთ .

დღეს შეგვიძლია ვთქვათ

- არ შეიძლება ამ საბანკო სისტემის პირობებში სერიოზულ ეკონომიკაზე ფიქრი.
- არ შეიძლება ამ კაბალურ საპროცენტო განაკვეთების პირობებში, მოსახლეობის კეთილდღეობაზე საუბარი.
- შველა უნდა იპოთეკარებს ისე, რომ ეს მივაღწიოთ საბანკო სისტემის გაჯანსაღებით.
- არ შეიძლება ქართული ეკონომიკის მომავალზე საუბარი შუალედური ფირმების ასეთი თავხედობის პირობებში, როცა დაზარალებულია მწარმოებელი და მომხმარებელი და ფუფუნებაში ცხოვრობს ხელისუფლების მიერ გაყოყოჩებული შუალედური რგოლი.
- ჩვენ სერიოზულად გვაფიქრებს, რომ მინიმუმ **ოთხი ქალაქი საქართველოში,** სადაც ცხოვრების გამოკვეთილად კარგი პირობები უნდა იყოს, ყველაზე უარეს მდგომარეობაშია. ჩვენ ხალხს ვეტყვით სიმართლეს, თუ რატომ არის ასეთი მძიმე მდგომარეობა იმ ოთხ ქალაქში — **ფოთში, ზესტაფონში, ჭიათურასა და ბოლნისში,** სადაც დღესაც კი ცხოვრების გამორჩეულად კარგი პირობები უნდა იყოს. ამ ქალაქებთან დაკავშირებით, კვლევის პირველ შედეგებს სექტემბერშივე გამოვაქვეყნებთ.

ჩვენ უდიდესი პროექტები გვაქვს. მათ შესახებ მოსახლეობას ყოველ პარასკევს, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკით“ და ყოველ ხუთშაბათსა და ორშაბათს, ტელევიზია „ქართული ტვ“-ს პირდაპირი ეთერით მივაწვდით.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ საოცარი შედეგების მიღწევა შეიძლება, თუ საქართველოში ძლიერს ექნება მხარდაჭერა, გვექნება არა პარტიების, არამედ ნიჭის ძალაუფლება, თუ გვექნება არა პოლიტიკური, არამედ ინტელექტუალური რადიკალიზაცია.

მეცნიერთა საინიციატივო ჯგუფის მიერ დაწყებულ და უკვე მოსახლეობის უდიდესი ნაწილის მიერ მხარდაჭერილ ამ პროცესს ვეღარავინ შეუშლის ხელს...

ჩვენ არ ვიცით, რას ნიშნავს სახელმწიფო ტელევიზია. ჩვენ არ ვიცით, რას ნიშნავს ოპოზიციური ტელევიზია. ჩვენ ვიცით მხოლოდ მართალი ტელევიზია!

„ქართული ერთობის დარბაზი“

— ხალხი იწონებს „ქართული ტვ“-ის ამ პოზიციას! —

ტელევიზია „ქართული ტვ“-ს გადაწყვეტილება

ჩვენი პოზიცია ჩვენს ემბლემაშია

ჩვენ ხელი მოვაწერეთ „მოქმედების მანიფესტს — ერთი სამშობლო, ერთიანი ერი, გაერთიანებული სახელმწიფო“, რომელშიც გამოკვეთილად ითქვა დღევანდელობის ერთი მძიმე სიმართლე:

„საქართველოს საინფორმაციო სივრცე ქართული აღარ არის, მეტიც, ებრძვის საქართველოს, ცალკეულ პოლიტიკოსთა პოლიტიკურ პარტიათა პრიმიტიული აზროვნების აგიტპუნქტებად იქცნენ ტელევიზიები“, და ეს მიჩნეულია ქართული აზროვნების გასაჭირად.

„ქართული ტვ“ დააფუძნა ჯარისკაცის მამამ რეზო ჩხეიძემ და ორი წლის წინათ, ღვთისმშობლობას, სამების საკათედრო ტაძარში, საჩუქრად გადასცა სრულიად საქართველოს.

ტელევიზიის სათავეებთან დგანან საქვეყნო კაცები: მერაბ ბერძენიშვილი, ანზორ ერქომაიშვილი, გიგა ბათიაშვილი, გივი თოიძე, ტარიელ ხარხელაური, თემურ გუგუშვილი, ომარ მხეიძე, არნოლდ გეგეჭკორი, რამაზ ყურაშვილი.

ჩვენ ვართ სააქციო საზოგადოება, ამჟამად ათასზე მეტი აქციონერით და მთავარი პრინციპით, რომ არ შეიძლება ერთი პიროვნება 4 პროცენტზე მეტ აქციას ფლობდეს. ჩვენი აქციონერები სხვადასხვა პოლიტიკური ხედვის და, ალბათ, სხვადასხვა პარტიების წევრები, მხარდამჭერები ან გულშემატკივრები არიან.

სწორედ ამიტომ, ჩვენ არ შეიძლება ვიყოთ რომელიმეს მხარდამჭერი ან მოწინააღმდეგე, მით უფრო, რომ ჩვენ ერთმნიშვნელოვნად დამანგრეველს ვუწოდებთ დღევანდელ საქართველოში პარტიების კვალიფიციურად და არაკვალიფიციურად დაყოფას.

ამიტომ ჩვენ ვიღებთ გადაწყვეტილებას, ყველა საარჩევნო პოლიტიკურ სუბიექტს შევუქმნათ ერთნაირი პირობები — ყველას მივცეთ საშუალება, თავისი სათქმელი უთხრას ხალხს.

ჩვენთვის, ქართული ერთობა უპირველესი და უმთავრესია!

ტელევიზია „ქართულის“ გენერალური პროდიუსერი	სააქციო საზოგადოება „ქართულის“ დირექტორი	სააქციო საზოგადოება „ქართულის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე
მანანა ნოდია	**ალექსანდრე ოჩიგავა**	**რომან რურუა**

სად ვუყურეთ ტელევიზიას „ქართული TV“

ამ ეტაპზე გადაცემების ნახვა პირდაპირ ეთერში შესაძლებელია ფრანგულ თანამგზავრზე Eutelsat at 36.00: „silknet“-ზე, „Super-TV“-ზე, myvideo-ზე“ „ქართული ერთობის დარბაზისა“ და ტელეკომპანია ქართულის ვებ გვერდზე: qedi.qtv.com.de და qtv.com.ge.

პერსპექტივა

მიმდინარეობს მუშაობა საკაბელო არხებთან. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, საარჩევნო პერიოდში ყველა გამავრცელებელი ვალდებულია, ჩართოს სატელიტზე განთავსებული ტელეკომპანიები. დარწმუნებული ვართ, გვექნება მათი მხარდაჭერა და შესაძლებელი გახდება ტელეკომპანია „ქართულის“ ხილვა მთელი საქართველოსა და შემდგომ, ფრანგული თანამგზავრის მეშვეობით, პრაქტიკულად, მთელ მსოფლიოში.

გილოცავთ!

ეს უდავოდ დიდი ქართული მოვლენა შეესაძლებელი გახდა მსოფლიოში ყველაზე დიდი, საფრანგეთის თანამგზავრული კომპანიის მხარდაჭერით და სს „ქართულის“ აქციონერთა თანადგომით. ნიშანდობლივია, რომ ეს მოხდა, 3 მარტს, დედის დღეს.

რეზო ჩხეიძის მიერ შექმნილ დედასამშობლოსთვის შემართულ ტელევიზიას უკვე უყურებენ მსოფლიოს დიდ ნაწილში. გუშინვე myvideo-ს, silknet-ის, რამდენიმე ქალაქის საკაბელო ტელევიზიებს, „Super-TV“-ს მეშვეობით 100 000-ზე მეტი მომხმარებელი შემოუერთდა. ეს პროცესი გრძელდება.

ჩვენი რეკვიზიტები:

თბილისი 0179, ღამბაშიძის ქ. №4

ტელ. (032)2 443446; 599 03 21 66; 599 37 83 41

ელ.ფოსტა : kartuliertoba@gmail.com

ვებ.გვერდი: www.qedi.qtv.com.ge

ფეისბუქის გვერდი: საინიციტივო ჯგუფი „ეროვნული თანხმობის პარლამენტის“ ფორმირებისთვის

ჭიდაობა

მსოფლიოზე – ევროპული შემადგენლობით

ფრანგული მეიგენი 30 აგვისტოდან 4 სექტემბრის ჩათვლით ახალგაზრდა ფალავანთა მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლებს. ასპარეზობას ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეები გახსნიან. ჩვენი „კლასიკოსები“ პირველობისთვის წყალტუბოში ემზადებიან. ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ზაზა სილაგაძემ გადაწყვიტა, მსოფლიოზეც ისინი აჭიდაოს, რომლებმაც 21-26 ივნისს რუმინეთში ევროპის პირველობაზე მიაღწიეს წარმატებას. ბუქარესტში ჩვენებს 8-დან 5 წონის ფინალში ჰყავდათ მონაწილე, აქედან 3 ჩემპიონი გახდა, სულ კი გუნდმა 6 მედალი მოიპოვა (3 ოქრო, 2 ვერცხლი და 1 ბრინჯაო). ევროპის ჩემპიონობა ნუგზარ წურწუმიამ (50 კგ), რამაზ ზოიძემ (66) და ზვიად პატარიძემ (120) დაიმსახურეს. მხოლოდ ფინალური ორთაბრძოლები დათმეს ლევან ქავჟარაძემ (60) და გიორგი მელიამ (96), რომლებსაც ვერცხლის მედალი ერგოთ, ხოლო დავით ჩხარტიშვილი (55) მესამე ადგილზე გავიდა. ევროპის პირველობიდან მსოფლიომდე ლამის ორთვიანი შუალედი იყო და ბიჭებს დასვენების საშუალება ჰქონდათ. ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეები საფრანგეთში 28 აგვისტოს ასეთი შემადგენლობით გაემგზავრებიან: ნუგზარ წურწუმია (50 კგ, ხობი), დავით ჩხარტიშვილი (55, ოზურგეთი), ლევან ქავჟარაძე (60, ოზურგეთი), რამაზ ზოიძე (66, აჭარა), თემურ ჭკუასელიძე (74, ბორჯომი), გურამ ხეცურიანი (84, ქუთაისი), გიორგი მელია (96, სამტრედია), ზვიად პატარიძე (120, ქუთაისი).



თავისუფალი სტილით მოჭიდავეები მსოფლიოს ჩემპიონატში 3-4 სექტემბერს ჩაებმებიან. დასკვნით შეკრებას ისინი დუშეთში გაივლიან. ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა გიორგი გოგშელიძემაც ნაევროპალი გუნდის შენარჩუნება განიზრახა, თუმცა, არც ცვლილებებს გამორიცხავს, ოღონდ ამის საჭიროებას საკონტროლო შეხვედრები გვიჩვენებს. „თავისუფლებმა“ ბუქარესტში ევროპის ჩემპიონატზე 8-დან 7 მედალი მოიპოვეს – 2 ვერცხლი და 5 ბრინჯაო. ევროპის ვიცე-ჩემპიონები რობერტ დინგაშვილი (55) და გივი მაჭარაშვილი (96) გახდნენ, მესამეზე კი შმაგი თოდუა (60), გიორგი სულავა (66), ტარიელ გაფრინდაშვილი (74), მექი სიმონია (84) და ზურაბ ურთაშვილი (120) გავიდნენ.

გივი გაგუა

წყალბურთი

ახალგაზრდებს ალპენი ელის

ჰოლანდიის ქალაქი ალპენი 11-18 სექტემბერს 19-წლამდელ წყალბურთელთა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპს უმასპინძლებს. მედლებისთვის 16 გუნდი იბრძოლებს. ისინი წილისყრით ოთხ ჯგუფში გადანაწილდნენ:

A ჯგუფი. სერბეთი, იტალია, გერმანია, თურქეთი.

B ჯგუფი. ხორვატეთი, რუსეთი, **საქართველო,** აზერბაიჯანი.

C ჯგუფი. ესპანეთი, ჰოლანდია, რუმინეთი, სლოვაკეთი.

D ჯგუფი. საბერძნეთი, უნგრეთი, ჩერნოგორია, მალტა.

B ჯგუფის თამაშების კალენდარი ასეთია:

11 სექტემბერი. ხორვატეთი – **საქართველო,** რუსეთი – აზერბაიჯანი.

12 სექტემბერი. აზერბაიჯანი – **საქართველო,** ხორვატეთი – რუსეთი.

13 სექტემბერი. რუსეთი – **საქართველო,** ხორვატეთი – აზერბაიჯანი.

ჯგუფების გამარჯვებულები პირდაპირ გადიან მეოთხედფინალში, ხოლო მეორე-მესამეადგილოსნები ერთმანეთში გაარკვევენ ოთხი დანარჩენი მეოთხედფინალისტის ვინაობას.

ჰოლანდიური ბატალიებისთვის დიდი ხანია საქართველოს 19-წლამდელი წყალბურთელები მონდომებით ემზადებიან. ტიტების ქვეყანაში გამგზავრების უფლება ჩვენებმა თბილისის „ოლიმპიკის“ საცურაო აუზში გამართული საკვალიფიკაციო პაექრობების შემდეგ მიიღეს. მაშინ ქართველმა წყალბურთელებმა ოთხი მეტოქე დაჯაბნეს: ჯერ ფავორიტებს – ფრანგებსა (13:4) და სლოვაკებს (13:5) სძლიეს, შემდეგ ბელარუსები (15:4) და ფინელები (23:4) დაამარცხეს.

ერთი კვირის წინათ საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები (ირაკლი რაზმაძე, თედო შავშიშვილი, გიორგი ღავთაძე, რევაზ იმნაიშვილი, სანდრო ადეიშვილი, ანდრია ბითაძე, ვაჟა ფურცელაძე, ლევან მოსაშვილი, გიორგი მესხი, გიორგი მაგრაქველიძე, დავით ცხაკაია, გიორგი წულუკიანი, ნიკოლოზ ჩხიკვიშვილი, **მწვრთნელები** - გელა ტუკვაძე, ოთარ ქოიავა, ირაკლი ბაქრაძე) სლოვაკეთში გაემგზავრა და საწვრთნელ ვარჯიშებთან ერთად მასპინძელ თანატოლებთან სამი სპარინგ-მატჩიც გამართა. ქართველებმა ორ პაექრობაში გაიმარჯვეს, შესაბამისად, 10:8 და 11:4, მესამე კი ფრედ დაამთავრეს – 6:6.

ჩვენმა გუნდმა სლოვაკეთიდან რუმინეთს მიაშურა, სადაც კარპატელებთან ერთობლივ ვარჯიშებსა და ორ ტესტ-მატჩს გამართავენ, მერე სამშობლოში დაბრუნდებიან და 6 სექტემბერს ალპენისკენ აიღებენ გეზს.

ლაშა დიდია

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ სპორტის რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ 51 წლისა მოულოდნელად გარდაიცვალა თბილისის „დინამოს“ ვეტერანი ფეხბურთელი

ლევან ბარათაშვილი

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ფეხბურთი

მასპინძლებიც ტირიან

რატომლაც მიჩნეულია, რომ ევროტურნირების სასტარტო შეხვედრაში სტუმრად მიღწეული შედეგიანი ფრე საბოლოო წარმატების საწინდარია, თუმცა, ჩემპიონთა ლიგის საპასუხო პლეი-ოფებმა დაადასტურა, რომ არც მთლად ასეა საქმე.

მაგალითად, კიდევ ერთხელ ივაჟკაცა ზაგრების „დინამომ“, რომელმაც, საკუთარ ტალანტთა უცხოურ ტოპ-კლუბებში მასობრივად გადინების მიუხედავად, ავსტრიაში ურთულესი ბრძოლა მოუგო „რედ ბულის“ მძლავრი ფინანსური თანადგომით ფრთაშესხმულ „ზალცბურგს“ – 2:1 (დამატებით დროში) და წლეულსაც ჯგუფური რაუნდის მიღმა დატოვა (პირველი მატჩი – 1:1).

უფრო უარესად განვითარდა მოვლენები „რომასთვის“, რომელსაც ზურგს პორტუგალიაში გაჩარხული 1:1 უმაგრებდა.

მარადიულ ქალაქში „პორტუმ“ მასპინძელთაგან ქვა ქვაზე არ დატოვა – 3:0, თანაც იტალიელთა ორმა მოთამაშემ პოლონელ მსაჯ მარცინიას თავი გააძევებინა.

გიორგი ზოთაძე

კალათბურთი

ნეტავ, ვინ დაგვთარსა?!

გაჭირვებულს ქვა აღმართში მიეწიაო, ისეა საქართველოს კალათბურთელთა ნაკრების საქმე.

კერძოდ, თითქოს მანუჩარ მარკოიშვილის ტრავმა არ კმაროდეს, რომ მისი ხვედრი გაიზიარეს თორნიკე შენგელიამ და მაიკლ დიქსონმა, ევრობასკეტის შესარჩევი ეტაპის დაწყებამდე კი სულ რამდენიმე დღეა დარჩენილი.

ალბათ, გარკვეულწილად საკადრო პრობლემებმაც განაპირობა ილიას ზურაბის შეგირდთა მარცხი პოლონეთში დაწყებული ოთხთა ტურნირის სასტარტო შეხვედრაში შვედებთან – 60:73, თუმცა, უნდა ითქვას, რომ ანალოგიური დანაკლისი მეტოქესაც ჰქონდა ნბა-ში ნათამაშები ჯეფრი ტეილორისა და იონას იერებკოს სახით.

დავძენთ, რომ სკანდინავიელებმა პერიმეტრიდან 11(!) სამქულიანი ჩაგვიგდეს, ფარქვეშ ბრძოლაში კი ჩვენს გუნდს მცირე უპირატესობა ჰქონდა და ჩრდილოელებზე სამი მოხსნით მეტი მიითვალა.

ყველაზე შედეგიანები:

ფაჩულია – 15 ქულა, ცინცაძე – 13 ქულა, 7 პასი, სანაძე – 10 ქულა, 7 მოხსნა (საქართველო;

ბორგი – 18 ქულა, ჰაკანსონი – 13 ქულა, შერაპოვიჩი – 11 ქულა, 9 მოხსნა (შვედეთი).

პოლონეთი – ბელგია 55:58.

ვიტალი ჯაფარიძე

სმარტფონები – ნარკოტიკების ნაცვლად

როგორ შეცვალა GOOGLE-მა რიო-დე-ჟანეირო

როგორ შეცვალა Google-მა რიო-დე-ჟანეირო – ამ თემაზე სტატიას აქვეყნებს „ბი ბი სი“ და წერს, რომ რიოში დაახლოებით 6.5 მილიონი ადამიანი ცხოვრობს. ყოველი ხუთიდან ერთი ადამიანი ქალაქის ღარიბ რაიონებსა და უბნებში ფაველებში არსებობს. ფაველების სიდიდის მიუხედავად, ისინი Google-ის რუკაზე დატანილი არასდროს ყოფილა. რვა წლის წინ, როდესაც რიომ 2016 წლის ოლიმპიადის ჩატარებასთან დაკავშირებით განაცხადი გააკეთა, 27 წლის კრიშტიანო ბენტო რიოს ფაველებში ექსტაზსა და მეტამფეტამინს ყიდდა. ამ გზით იგი თვეში 15,000 რეალს, ანუ 4734 დოლარს გამოიმუშავებდა – 20-ჯერ მეტს, ვიდრე საშუალო ხელფასია ბრაზილიაში.

აღნიშნული საქმიანობით ბენტო 17 წლიდან იყო დაკავებული და 10 წლის განმავლობაში იგი ნარკოსამყაროში მაღალ იერარქიებზეც ავიდა. ყველაფერი 2008 წელს შეიცვალა, როდესაც ქალაქის მერად ედუარდო პაე აირჩიეს. პაემ ქალაქს ახალი გეგმა, სახელწოდებით „დამშვიდება“ წარუდგინა. ნარკობარონების დევნის შედეგად სიტუაცია შედარებით გაუმჯობესდა, რის შედეგადაც ბენტოს მსგავს ადამიანებს ნარკოტიკებით ვაჭრობის ნაცვლად სხვა საქმით დაკავება მოუწიათ.

როგორც აღვნიშნეთ, ფაველები Google-ის რუკაზე მონიშნული არასოდეს ყოფილა. ოლიმპიადის მოახლოებასთან ერთად Google-მა რიოში არსებულ ორგანიზაციასთან თანამშრომლობის შედეგად და 100 ადგილობრივის დახმარებით (მათ შორის იყო კრიშტიანო ბენტო) 26 ფაველის სქემის შედგენა დაიწყო. პროექტს Tz no Mapa („რუკაზე“) ეწოდებოდა. შერჩეული იყო სპეციალურად ის ფაველები, რომლებიც შედარებით უსაფრთხოდ ითვლებოდა. Google-ს აქვს აპლიკაცია, რომელიც მომხმარებლების ჩართულობით Google Map-ს ახალ დეტალებს სძენს. Google-მა ზემოთაღნიშნულ 100 ადამიანს ტრენინგი ჩაუტარა, სმარტფონები დაურიგა და მინიმალური ხელფასიც დაუნიშნა. რუკების შემდგენლებმა თავისი ცოდნისა და ბიზნესის მფლობელებთან ჩატარებული ინტერვიუების დახმარებით Google Map-ზე 3,000-ზე მეტი ლოკაციის დამატება შეძლეს.

„რუკაზე აღვნიშნავდით ყველა ადგილს, რომელიც შესაძლოა საინტერესო ყოფილიყო მომხმარებლისთვის: სკოლებს, ბანკებს, ეკლესიებს, საჯარო სივრცეებს (როგორიცაა მაგალითად პარკი), საფეხბურთო მოედნებსა და ა.შ.“ – განაცხადა ბენტომ.

თავდაპირველად ბევრი ადგილობრივი მცხოვრები ყოყმანობდა – სურდა თუ არა ბიზნესის რუკაზე განთავსება. თუმცა როდესაც მათ რუკის შემდგენელებისგან პროექტის არსის შესახებ მეტი გაიგეს, შემოთავაზებას დიდი ენთუზიაზმით შეხვდნენ. Google-ის პროექტს დადებითი შედეგები უკვე მოჰყვა და ამას ბენტოც აღნიშნავს: „მაგალითისთვის ავიღოთ საცხობი Padaria Vitoriosa. მისი არსებობის შესახებ ბევრმა არაფერი იცოდა და პროდუქციის შესაძენად ქალაქში ჩადიოდნენ,“ – ამბობს იგი. რუკაზე დატანილმა ბიზნესლოკაციებმა (მაღაზიები, ბარები, რესტორნები და სასტუმროები) რიოს ყოველწლიური კარნავალის შედეგად მოგება უკვე მიიღეს.

მათი მფლობელები ასეთივე მოგებას ოლიმპიადის შედეგადაც ელოდებიან. ბარმა სახელწოდებით Bar do David, რომელიც ტრადიციული ფაველის კერძებით არის განთქმული, New York Times-ისა და Time Out-ის ჟურნალისტებს უმასპინძლა.

ბენტოს ცხოვრება შეცვლილია. 10 წლის განმავლობაში ნარკოტიკების გაყიდვის შემდეგ მას ხელში სმარტფონი უჭირავს და Google-ის რუკაზე ახალ ლოკაციებს ნიშნავს. ასევე მუშაობს AfroReggae-სთან, რათა ფაველებში მცხოვრებ ადამიანებს სამუშაოს მოძებნაში დაეხმაროს (განსაკუთრებით მათ, ვინც ციხიდან ცოტა ხნის გამოსულია). AfroReggae 1993 წელს დაარსებული ორგანიზაციაა, რომელიც კომპიუტერულ პროგრამირებასა და დოკუმენტური ფილმების გადაღებაში ადამიანებს ტრენინგებს უტარებს. Google-თან და AfroReggae-სთან თანამშრომლობის შედეგად ბენტო თვეში დაახლოებით 880 რეალს გამოიმუშავებს, რაც ბრაზილიაში მინიმალურ ხელფასს შეადგენს. თუმცა, ბენტო უკმაყოფილო არ არის: „ბედნიერი ვარ, რომ ქალაქში თავისუფლად გადაადგილება შემიძლია,“ – აცხადებს იგი.

განცხადება
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ლაშა ცეცხლაძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ლაშა ცეცხლაძე (პ/ნ 01031003130), თბილისი, სამტრედიის ქ. №4ა, ბინა №77.

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
თბილისი, სამტრედიის ქ. №4ა, ბინა №77 (საკადასტრო კოდი: 01.13.04.019.003.01.077).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 76610.65 ლარი;

3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2016 წლის 26 აგვისტო, 14:00 საათი.

4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2016 წლის 5 სექტემბერი, 13:30 საათი.

5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP33583816;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 335838

6. **მოვალე:** თამაზ ცეცხლაძე (პ/ნ 01007003060), თბილისი, სამტრედიის ქ. №4ა, ბინა №77.

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31.

8. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP33583816; ლოტის ნომერი: 335838).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2016 წლის 2 სექტემბრის 18:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო
სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომის და მოქნილობის პროექტი (AMMAR)

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის (**IFAD**) მიერ დაფინანსებული სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომის და მოქნილობის პროექტის (**AMMAR**) ფარგლებში იწვევს გამოცდილ **ადგილობრივ კომპანიებს** გამოხატონ ინტერესი შემდეგი დავალების შესასრულებლად:

სკრა-ქარელის საირიგაციო სისტემის შიდასამეურნეო ქსელის რეაბილიტაციის დეტალური პროექტის მომზადება

საქართველოს მთავრობამ მიიღო დაფინანსება სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდისგან (**IFAD**) სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომის და მოქნილობის პროექტის (**AMMAR**) დასაფინანსებლად საქართველოში. ამ პროექტს ახორციელებს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ამჟამად განზრახული აქვს საკონსულტაციო კომპანიის (მას შემდგომ ეწოდება კონსულტანტი) დაქირავება **ქარელის მუნიციპალიტეტში სკრა-ქარელის სარწყავი სისტემის მეორე რიგის გამანაწილებლების გ-22; გ-23; გ-25; გ-27; გ-30; გ31; გ-32; გ-33; გ-35-ისა და გ-36 და მათი სხვა რიგის გამანაწილებლების რეაბილიტაციისთვის** დეტალური პროექტის მოსამზადებლად.

დეტალური საინჟინრო პროექტი უნდა დამუშავდეს ერთ ეტაპად. საპროექტო სამუშაოები უნდა ჩატარდეს არსებული და ახალი საძიებო-კვლევითი მასალების შეჯერებისა და ანალიზის საფუძველზე.

დეტალური საინჟინრო პროექტის დამუშავება უნდა ითვალისწინებდეს:
- არსებული სიტუაციის აღწერას ფოტომასალების წარმოდგენით და ინფრასტრუქტურის ინვენტარიზაციას.
- საველე-საძიებო ტოპო-გეოდეზიურ, საჭიროების შემთხვევაში გეოლოგიურ და სხვა სამუშაოებს
- წყალსამეურნეო ბალანსის ანგარიშს და წყლის აღრიცხვიანობას
- გარემოზე ზემოქმედების საკითხებს.

დეტალური პროექტი უნდა მომზადდეს საქართველოს მთავრობის 24.03.2009-ის №57 დადგენილების „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ გათვალისწინებით და შეესაბამებოდეს საერთაშორისო და შესაბამის ეროვნულ სტანდარტებს, საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმებსა და წესებს.

მომსახურების ხანგრძლივობაა 2,5 თვე.

ფირმის საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

1. **ზოგადი გამოცდილება:** გამოცდილება დეტალური პროექტების მომზადებაში;
2. **სპეციფიკური გამოცდილება:** სამელიორაციო სისტემებისთვის სულ მცირე 5 დეტალური პროექტის მომზადების გამოცდილება.

გუნდის შემადგენლობა:
დეტალური პროექტის მოსამზადებლად საჭირო იქნება ძირითადი ექსპერტების გუნდის შემდეგი სავარაუდო შემადგენლობა:
1. ირიგაციის სპეციალისტი - გუნდის ხელმძღვანელი
2. ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსი - 1 სპეციალისტი
3. ინჟინერ/კონსტრუქტორი - 1 სპეციალისტი
4. ხარჯთაღრიცხვის სპეციალისტი - 1 სპეციალისტი
5. გეოლოგი - 1 სპეციალისტი
6. ტოპოგრაფი - 1 სპეციალისტი
7. მშენებლობის ორგანიზაციის სპეციალისტი - 1 სპეციალისტი.

კვალიფიკაციის მოთხოვნები

გუნდის ხელმძღვანელს უნდა ჰქონდეს უმაღლესი განათლება და 10 წლის მუშაობის გამოცდილება (სასურველია გამოცდილება ირიგაციაში და წყლის რესურსების განვითარებაში), პროექტის რამდენიმე სფეროში, სხვების მუშაობის კოორდინაციაში და ანგარიშგებაში.

სპეციალისტებს უნდა ჰქონდეთ უმაღლესი განათლება და უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მინიმუმ 5 წლის პროფესიული გამოცდილება ქვემოთ განსაზღვრულ ტექნიკურ სფეროებში.

სპეციალისტებს უნდა ჰქონდეთ შემდეგი გამოცდილება:

<u>ირიგაციის/მშენებელი ინჟინერი- გუნდის ხელმძღვანელი</u>
- უმაღლესი განათლება ირიგაციის/მშენებლობის სფეროში მინიმუმ ათწლიანი სამუშაო გამოცდილებით მცირე საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურის (მაგ. გზები, ხიდები, სარწყავი/წყალმომარაგების სისტემები და სხვა) პროექტირება-მშენებლობაში. სასურველია განვითარების პროექტებში/უწყებებში/ინსტიტუტებში მუშაობის გამოცდილება;
- წყლის მართვის და ირიგაციის პროექტებში მულტიდისციპლინარული გუნდის ხელმძღვანელობის გამოცდილება;
- ირიგაციის/მშენებლ ინჟინერს უნდა ჰქონდეს გამოცდილება საირიგაციო და ჰიდროტექნიკურ ნაგებობებში, საირიგაციო და სადრენაჟო პროექტების დაგეგმვის, პროექტირების და ხარჯთაღრიცხვების შედგენის ცოდნის ჩათვლით. აუცილებელია სხვადასხვა სს კულტურების და სს კულტურების წარმოების მოდელების რწყვის მოთხოვნილების ცოდნა;
- საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმების და წესების საფუძვლიანი ცოდნა;
- მიმდინარე საბაზრო ფასების საფუძველზე საინჟინრო ხარჯთაღრიცხვების მომზადების გამოცდილება;
- ანალიტიკური და ადამიანებთან ურთიერთობის გამოკვეთილი უნარი, სტრატეგიული აზროვნების და მოქმედების, რამდენიმე ამოცანის ერთდროულად შესრულების და სამუშაოს სათანადო ვადებში შესრულების უნარები;
- კომპიუტერზე მუშაობის ცოდნა;
- ანგარიშგების ჩინებული უნარი.

დამატებით საჭირო ექსპერტები: დამატებით ექსპერტებს, რომლებიც, კონსულტანტის აზრით, შეიძლება საჭირო გახდეს, უნდა ჰქონდეთ უმაღლესი განათლება და მინიმუმ 5-წლიანი გამოცდილება.

ტექნიკური დახმარების პერსონალი: ტექნიკური დახმარების პერსონალი, კვლევის ასისტენტები და სხვა ამგვარი თანამშრომლები კომპეტენტური უნდა იყვნენ თავის საქმეში, ჰქონდეთ შესაბამისი კვალიფიკაცია და გამოცდილება.

კონსულტანტი შერჩეული იქნება კვალიფიკაციის მიხედვით.

კითხვებისთვის და ინტერესის გამოსახატავად მოგვმართეთ წერილობით ქვემოთ მითითებულ ელ-ფოსტის მისამართებზე. ინტერესის გამოხატვის წერილს თან უნდა ერთვოდეს შემდეგი ინფორმაცია:
(ა) მოკლე ინფორმაცია ფირმის შესახებ;
(ბ) ფირმის მიერ განხორციელებული პროექტების სია (პროექტის მოკლე აღწერილობის, განხორციელების ვადების, დამკვეთისა და ღირებულების მითითებით);
(გ) შემოთავაზებული პერსონალის სია და პერსონალის კვალიფიკაციის აღწერილობები (CV).

ინტერესის გამოხატვის წერილი ზემოაღნიშნულ ინფორმაციასთან ერთან უნდა წარმოადგინოთ **2016 წლის 9 სექტემბრის 12 საათამდე** შემდეგ მისამართზე/ელ-ფოსტაზე:

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო
მარშალ გელოვანის გამზირი №6
0159 თბილისი, საქართველო
ტელ.: +995-32-237-80-38
ელ-ფოსტა: Levan.Tskhovrebashvili@moa.gov.ge
cc: Nana.Kupunia@moa.gov.ge

ს.ს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ აცხადებს

ა უ ქ ც ი ო ნ ს

მის ბალანსზე რიცხული 5 ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალების გაყიდვის მიზნით

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ, ს.ს. „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ ინტერნეტ გვერდზე: www.gse.com.ge და ასევე, www.eauction.ge

საკონტაქტო პირი: გიორგი ოდიშვილი
ტელეფონი: ქალაქის – 2-510-281 მობილურის 577 240-233

ს.ს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ აცხადებს

ა უ ქ ც ი ო ნ ს

მის საკუთრებაში არსებული 10 ერთეული მიწის ნაკვეთის 25%-იანი ფასდაკლებით გაყიდვის მიზნით

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ, ს.ს. „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ ინტერნეტ გვერდზე: www.gse.com.ge და ასევე, www.eauction.ge

საკონტაქტო პირი: გიორგი ოდიშვილი
ტელეფონი: ქალაქის – 2-510-281 მობილურის 577 240-233

ს.ს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ აცხადებს

ა უ ქ ც ი ო ნ ს

მის ბალანსზე რიცხული 1 ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალების გაყიდვის მიზნით

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ, ს.ს. „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ ინტერნეტ გვერდზე: www.gse.com.ge და ასევე, www.eauction.ge

საკონტაქტო პირი: გიორგი ოდიშვილი
ტელეფონი: ქალაქის – 2-510-281 მობილურის 577 240-233

სანთელი

ჯემალ ჭუმბურიძე, დავით ცქიტიშვილი, ივიკო საყვარელიძე, დავით დათოშვილი, ვაჟა ნუცუბიძე, ძიკა ცქიტიშვილი, ბონდო ქობულია, როლანდ იოსელიანი, რაულ ალასანია, ლეო ნინუა, მერაბ ცინცაძე, თამაზ დაუშვილი, მერაბ მახარაძე, ბუბა კიკაბიძე, ოთარ მელქაძე, ჯემალ კეთილაძე, ბიძინა ჯღარკავა, ბიჭი მაისურაძე, გენო სარჩიმელია, რევაზ ჯიჯიეიშვილი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა შესანიშნავი თბილისელი, ყველასათვის პატივსაცემი და საყვარელი ადამიანი, ვახტანგ გორგასლის ორდენების კავალერი, გენერალ-ლეიტენანტი



თამაზ სევერიანის ძე დუმბაძე

და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს, ახლობლებს და ყველა ღირსეულ მოქალაქეს ძვირფასი ადამიანის დაკარგვის გამო.

რეკლამა

„საქართველოს რესპუბლიკაში“

სულხან-საბას ქ. №3. 293-13-34; 599 797679

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომის და მდგრადობის პროექტი (AMMAR)

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის (IFAD) მიერ დაფინანსებული „სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომის და მდგრადობის პროექტის“ (AMMAR) ფარგლებში, იწვევს გამოცდილ **ადგილობრივ კომპანიებს** გამოხატონ ინტერესი შემდეგი **დავალების** შესასრულებლად:

ტექნიკური ზედამხედველობა და ხარისხის კონტროლი სარეაბილიტაციო სამუშაოებზე:

„გორის მუნიციპალიტეტში არსებული „ძევერა-შერთულის სარწყავი სისტემის, „გარდიგარდმო“ არხის და შიდასამეურნეო ქსელის რეაბილიტაცია“
(III-ა ლოტი)

1. ტექნიკური ზედამხედველობა და ხარისხის კონტროლის დავალება განხორციელდება „სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომის და მდგრადობის პროექტის“ (AMMAR) სასოფლო ინფრასტრუქტურისა და სოფლის მეურნეობის ღირებულებათა ჯაჭვის განვითარების კომპონენტის ფარგლებში. პროექტის (AMMAR) მიზანია საქართველოს სოფელში მცხოვრები ქალების და მამაკაცების შემოსავლების ზრდა და სიღარიბის შემცირება. განვითარების მიზანია კლიმატზე ადაპტირებული სოფლის მეურნეობის ღირებულებათა ჯაჭვში ინვესტირების სტიმულირება მცირემიწიანი ფერმერების შემოსავლების გასაზრდელად და მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. AMMAR ხორციელდება სოფლის მეურნეობის სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის (შემდგომში „დეპარტამენტი“) მიერ.

2. ამჟამად დეპარტამენტი ახორციელებს გორის მუნიციპალიტეტში არსებული **„ძევერა-შერთულის სარწყავი სისტემის, „გარდიგარდმო“ არხის და შიდასამეურნეო ქსელის რეაბილიტაცია“-ს (III-ა ლოტი)**. დეტალური პროექტი და ნახაზები მოიპოვება დეპარტამენტში.

მშენებლობის/რეაბილიტაციის ტექნიკური ზედამხედველობის მიზნით დეპარტამენტი გეგმავს ხელშეკრულების გაფორმებას ტექნიკური ზედამხედველობის კონსულტანტ კომპანიასთან (შემდგომში „ტექნიკური ზედამხედველობის კომპანია“).

დავალების მიზანია, ობიექტების სარეაბილიტაციო სამუშაოებზე ტექნიკური ზედამხედველობის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა, რომელიც ამასთანავე გულისხმობს სამუშაოების სრულ შესაბამისობას პროექტთან, ტექნიკურ სპეციფიკაციებთან, ნახაზებთან და სხვა საკონტრაქტო დოკუმენტაციასთან და სამუშაოების დადგენილ ვადებში დასრულებას.

წინამდებარე დავალების შესაბამისად დეპარტამენტის ინჟინერ-კონსულტანტის/ზედამხედველის უშუალო ზედამხედველობის ქვეშ და ინფრასტრუქტურის მესაკუთრის (შპს 'საქართველოს მელიორაცია“) წარმომადგენელთან თანამშრომლობით ტექნიკური ზედამხედველობის კომპანიამ ორგანიზება უნდა გაუწიოს და განახორციელოს პროექტის ფარგლებში შესრულებული სამშენებლო სამუშაოების ყოველდღიური ზედამხედველობა. ტექნიკური ზედამხედველობის კომპანია პასუხისმგებელი იქნება სამუშაოების ხარისხისა და მოცულობის საერთო ზედამხედველობაზე, საქართველოს კანონმდებლობისა და სატენდერო დოკუმენტაციის II თავის გ. ნაწილის (ხარისხის კონტროლი) და ბ. ნაწილის (ხარჯების კონტროლი) დებულებების შესაბამისად.

ზედამხედველობისთვის საჭირო მთელი აღჭურვილობა (პერსონალისთვის მანქანების ჩათვლით), ასევე საზომი და საკონტროლო ინსტრუმენტები ტექნიკური ზედამხედველობის კომპანიამ უნდა უზრუნველყოს.

3. მომსახურების ხანგრძლივობაა 7 თვე და 12 თვე დეფექტებზე პასუხისმგებლობის პერიოდი, სულ 19 თვე. დავალების სავარაუდო დაწყების თარიღია 2016 წლის სექტემბერი.

4. საკვალიფიკაციო მოთხოვნები ფირმის მიმართ:

1. ზოგადი გამოცდილება: სამშენებლო/სარეაბილიტაციო სამუშაოების დეტალური დიზაინის მომზადებისა და ტექნიკური ზედამხედველობის განხორციელების გამოცდილება;
2. სპეციფიკური გამოცდილება: მინიმუმ 3 მსგავსი განხორციელებული პროექტი (ტექნიკური ზედამხედველობის გამოცდილება შემდეგ ან მსგავსი ტიპის სამშენებლო/სარეაბილიტაციო სამუშაოებზე, კერძოდ: სარწყავი არხები; სადრენაჟე არხები; კოლექტორები, მილსადენები; ჰიდროტექნიკური ნაგებობები; გზები; ხიდები; სამოქალაქო/სამრეწველო ნაგებობები);
3. ფირმის მიერ შემოთავაზებული სპეციალისტების კვალიფიკაცია და გამოცდილება შესაბამის დარგში.

ზედამხედველების ჯგუფი უნდა დაკომპლექტდეს უმაღლესი კვალიფიკაციის და გამოცდილების მქონე ტექნიკური სპეციალისტებით. შესაბამისი პროფესიული გამოცდილება ნიშნავს მსგავსი ხასიათის სამშენებლო პროექტებში შესაბამის სფეროში მუშაობის ფაქტიურ გამოცდილებას.

ზედამხედველობისა და კონტროლისთვის საჭირო პერსონალი, როგორც მინიმუმ, უნდა მოიცავდეს გამოცდილ (1) ჯგუფის ხელმძღვანელს/მშენებელ ინჟინერს, (2) საველე ზედამხედველებს და (3) ტოპოგრაფს.

1. ჯგუფის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნებია:
- უმაღლესი განათლება ან ეკვივალენტური კვალიფიკაცია სამშენებლო საინჟინრო საქმეში და საქართველოს სამშენებლო სტანდარტების და ნორმების საფუძვლიანი ცოდნა;
- ზედამხედველობის მინიმუმ 10-წლიანი სამუშაო გამოცდილება მშენებლობის ჩათვლით;
- მრავალდისციპლინარულ გუნდთან და სოფლის მოსახლეობასთან მუშაობის გამოცდილება;
- საინჟინრო პროექტირების მოთხოვნების და საქართველოს მშენებლობის ზედამხედველობის პროცედურების ცოდნა;
- პრაგმატული, შემოქმედებითი და ენერგიული მიდგომა პრობლემების გადაჭრისა და გადაწყვეტილებების მიღებისადმი და კონტრაქტორებსა და სოფლის მოსახლეობასთან ეფექტური მუშაობის უნარი.

2. საველე ზედამხედველის საკვალიფიკაციო მოთხოვნებია:
- უმაღლესი განათლება ან ეკვივალენტური კვალიფიკაცია სამშენებლო საინჟინრო საქმეში და საქართველოს სამშენებლო სტანდარტების და ნორმების საფუძვლიანი ცოდნა;
- ზედამხედველობის მინიმუმ 10-წლიანი სამუშაო გამოცდილება მშენებლობის ჩათვლით;
- მრავალდისციპლინარულ გუნდთან და სოფლის მოსახლეობასთან მუშაობის გამოცდილება;
- საინჟინრო პროექტირების მოთხოვნების და საქართველოს მშენებლობის ზედამხედველობის პროცედურების ცოდნა;
- პრაგმატული, შემოქმედებითი და ენერგიული მიდგომა პრობლემების გადაჭრისა და გადაწყვეტილებების მიღებისადმი და კონტრაქტორებსა და სოფლის მოსახლეობასთან ეფექტური მუშაობის უნარი.

3. ჯგუფის ტოპოგრაფის საკვალიფიკაციო მოთხოვნებია:
- უმაღლესი განათლება ან ეკვივალენტური კვალიფიკაცია სამშენებლო საინჟინრო საქმეში და საქართველოს სამშენებლო სტანდარტების და ნორმების საფუძვლიანი ცოდნა;
- ზედამხედველობის მინიმუმ 5-წლიანი სამუშაო გამოცდილება მშენებლობის ჩათვლით;
- მრავალდისციპლინარულ გუნდთან და სოფლის მოსახლეობასთან მუშაობის გამოცდილება;
- საინჟინრო პროექტირების მოთხოვნების და საქართველოს მშენებლობის ზედამხედველობის პროცედურების ცოდნა;
- პრაგმატული, შემოქმედებითი და ენერგიული მიდგომა პრობლემების გადაჭრისა და გადაწყვეტილებების მიღებისადმი და კონტრაქტორებსა და სოფლის მოსახლეობასთან ეფექტური მუშაობის უნარი.

5. ადგილობრივი ტექნიკური ზედამხედველობის კომპანია შერჩეული იქნება კვალიფიკაციის მიხედვით.

6. ინტერესის შემთხვევაში და დამატებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ წერილობით ჩვენ ელფოსტაზე. ინტერესის გამოხატვის წერილი შეიძლება ელექტრონულად გამოგზავნილი იყოს და თან უნდა ერთოდეს:

1. მოკლე ინფორმაცია თქვენ ფირმაზე;
2. მსგავსი განხორციელებული პროექტების ჩამონათვალი (პროექტის მოკლე აღწერილობა, განხორციელების ვადები, დამკვეთის და ღირებულების მითითებით);
3. ამ დავალებისთვის შემოთავაზებული პერსონალის სია (კვალიფიკაციისა და გამოცდელების აღწერილობა -CV).

ინტერესის გამოხატვის წერილი ზემოაღნიშნულ ინფორმაციასთან ერთად უნდა წარმოადგინოთ **2016 წლის 8 სექტემბრის 12 სთ-მდე** შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო
მარშალ გელოვანის გამზირი №6
0159 თბილისი, საქართველო
ტელ.: (+995 32) 237-66-48
ელ-ფოსტა: Levan.Tskhovrebashvili@moa.gov.ge
cc: Nana.Kupunia@moa.gov.ge

დავით ნარმანია:

ვწუხვარ, რომ სიმშვიდე ვერ შევინარჩუნე!

თბილისის მერი დავით ნარმანია გუშინწინდელი ინციდენტის გამო საზოგადოებას ბოდიშს უხდის. „მინდა, გამოვეხმაურო მერიაში არასამთავრობოებთან გუშინდელი შეხვედრის დროს მომხდარ ინციდენტს, ბოდიში მოვუხადო საზოგადოებას და ჩემს ამომრჩეველს. ბოლო ერთი კვირაა, მერიის თანამშრომლების და ჩემს მიმართ ბევრი შეურაცხმყოფელი განცხადება მოვისმინეთ. გუშინ იყო საქმიანი შეხვედრა და გვსურდა, კონსტრუქციული დიალოგით და საქმიანი წინადადებებით მიგვეღწია შეთანხმებისთვის. თუმცა, ერთ-ერთმა აქტივისტმა სცადა შეხვედრის დესტრუქციულ რეჟიმში გადაყვანა. მე, როგორც თანამდებობის პირს, უნდა შემენარჩუნებინა სიმშვიდე და არ ავყოლოდი ემოციებს, ძალიან ვწუხვარ მომხდარის გამო“, – ნათქვამია დავით ნარმანიას მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

პროვოკაციებს საქმის მკეთებელს უწყობენ!

...ძალიან იშვიათად შემხვედრია მასავით გულისხმიერი და თავაზიანი თანამდებობის პირი.

მისმა გუშინდელმა გაცხარებამ თან გამაკვირვა და თან არა, რადგან ნაც(იონალ)ები და მისგან დაგეშილი ასო-ები ნარმანიას კი არა, ცოცხალთაგან ვინ ვთქვა, ივანე ჯავახიშვილსაც კი წონასწორობას დააკარგვინებდნენ.

არ ვამართლებ, მაგრამ ვიცავ.

ვიცავ ნაც(იონალ)ებისაგან, რომელთაც „მაიმუნო!“ და „ვირიშვილო!“ იავნანად უნდა ჩაესმოდეთ იმასთან შედარებით, რასაც სააკაშვილი პირადად მათ უწოდებდათ.

ვიცავ სევდია უგრეხელიძისა და ირაკლი აბესაძის დემაგოგიისგან, – უტიფრად რომ აცხადებენ, დავით ნარმანია თბილისის მოსახლეობას შეურაცხყოფსო(?!).

ვიცავ დედის მგინებელი ქალბატონისგან (ნ. ფერაძე), ვინც სნეულ ხეებს იცავს, მაგრამ ტრადიციულ ქართულ ზნეობას ასნებოვნებს...

ამას ამბობენ იმ ხელისუფლების წარმომადგენლები, პრეზიდენტი ხალხის (ბიუჯეტის) ფულს საკუთარ მასაჟისტს რომ ახმარდა, ხოლო მერი – ბორდელებში გართობასა და მეძავთა რეკლამით დაკავებული მედიის დაფინანსებას.

ქალბატონი სევდია დღეს ისეთი მწყაზარი სახით გვესაუბრება, თითქოს, თავადაც იმ ცხრაწლიან დანაშაულთა თანამონაწილე არ იყოს. ეს ქალბატონი ხომ საკრებულოში ადამიანის უფლებებს თავდავიწყებით „იცავდა“, რომ იქვე, რუსთაველზე, მოწყობილ სისხლიან კალოს „ვერ ხედავდა“...

ირაკლი აბესაძეზე, როგორც მიწის კომისიის ყოფილ თავმჯდომარეზე, ცალკე ვიტყვით, თუმცა ეს აქამდე და სხვებისგან უნდა თქმულიყო, მაგრამ ,საუბედუროდ, ,,ოცნებაშიც“ ბევრს ძინავს – ალბათ, ნეტარებისაგან, ეს რა გვეღირსა, უფალმა ჩვენთვის რა საკვირველები გამოიმეტაო.

ერთი ასეთი „ნეტარი“ გუშინ მედიასთან თავს იწონებდა, მე პროვოკაციას არ წამოვეგებოდი...

რა თქმა უნდა, ამას თამამად იტყვის, რადგან იცის, რომ პროვოკაციას არ მოუწყობენ. მედიას, ნაც(იონალ)ებსა და ასო-ებს ის არ აინტერესებთ, რადგან საქმეს არც აკეთებს და არც აფუჭებს.

პროვოკაციებს საქმის მკეთებელს უწყობენ.

ნერვებიც მათ აქვთ დაძაბული და რა გასაკვირია, ზოგჯერ რომ უმტყუნოთ.

დავით ნარმანიასგან მაინც გამიკვირდა.

საუკეთესო გამოსავალი კი, ამ დროს, ბოდიშის მოხდაა, ოღონდ, საზოგადოების წინაშე.

ვფიქრობ, დავით ნარმანიას ეს არ გაუჭირდება. შეუძლებელია, მან არ იცოდეს, რომ ბოდიშის მოხდა სულაც არ ნიშნავს მუნდირის შელახვას და პიროვნებას ღირსებას ჰმატებს...

იოსებ ჟუმბურიძე

P. S. რა თქმა უნდა, გუშინ თავაზიანმა და გულისხმიერმა ნარმანიამ ბოდიში მოიხადა...

მესხეები დედაქალაქის გამწვანებაზე ფიქრობენ

ამ დღეებში გაიმართა ასოციაცია „მესხეთი 2001“-ის პრეზიდიუმის სხდომა, რომელსაც ხელმძღვანელობდა პროფესორი ამირან მექვაბიშვილი. სხდომაზე განიხილეს დედაქალაქის ხრიოკი ადგილების გამწვანების საკითხი.

ამ საქმიანობისთვის სათანადო ნერგების გამოყოფა იკისრეს მესხეთის რაიონის სატყეო მეურნეობის ხელმძღვანელებმა. ახლა ჯერი მათ დარგვაზე და გახარებაზეა!

ძვირფასო მეგობრებო! ვისაც სურვილი გაქვთ ამოგვიდგეთ მხარში და კეთილშობილური საქმის განხორციელებისთვის, გთხოვთ მობრძანდეთ ასოციაციის პრეზიდიუმში: ქ. თბილისი, კოსტავს ქ. №47, ოთახი №1.

ტელეფონი: 2-92-66-03.

ასოციაციის პრეზიდიუმი.

ერთიანი ეროვნული გამოცდების საბოლოო შედეგები ცნობილია

ერთიანი ეროვნული გამოცდების საბოლოო შედეგები ცნობილია. აბიტურიენტებს შედეგების ნახვა შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებ-გვერდზე online.naec.ge შეუძლიათ. წელს სტუდენტი 27 782 აბიტურიენტი გახდა. გამოცდების ეროვნული ცენტრის ინფორმაციით, სახელმწიფო გრანტი მიიღო 6 500-მა აბიტურიენტმა, ხოლო 4 000-მდე იმ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩაირიცხა, სადაც სწავლას სახელმწიფო სრულად აფინანსებს. მათივე ცნობით, ჩარიცხულია გამოცდებზე გამოცხადებული აბიტურიენტების 74%-ზე მეტი. გამოცდების ეროვნული ცენტრის თავმჯდომარის მაია მიმინოშვილის განმარტებით, აბიტურიენტების მიერ დროზე ადრე მიღებული ინფორმაცია, რაც ჩარიცხვებს ეხებოდა, არ შეიცვლება. მცირეოდენი კორექტირება იქნება მხოლოდ გრანტებთან დაკავშირებით.

დაზიანებული სკულპტურები „მუსიკოსთა პარკში“

შეკვეთილში, „მუსიკოსთა პარკში“ რამდენიმე სკულპტურა დაზიანეს. ამის შესახებ ინფორმაციას ფონდ „ქართუს“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი გიორგი უძილაური სოციალურ ქსელში ავრცელებს. „ეს შეკვეთილში წინა კვირას გახსნილი „მუსიკოსთა პარკია“. რამდენიმე დღეა ნაციონალები ღლაბუცობენ – რას გავს სკულპტურებიო, ზურაბ წერეთლის ნამუშევრებიაო. რამდენიმე მედიასაშუალებამაც დამირეკა – ავტორი ვინაა სკულპტურებისო. სკულპტურები დამზადებულია ევროპაში ევროპელი სკულპტორების მიერ და არ ეკუთვნის ზურაბ წერეთელს. ეს ისე, ფეისბუქით ნიუსების მკეთებელი მედიისთვის. ვისაც „მუსიკოსთა პარკი“ აინტერესებს, როგორც მინიმუმ პარკი უნდა ნახოს მაინც :)მითუმეტეს, რომ Scorpions-ის კონცერტიდან გამოსულმა ზოგიერთმა ვანდალმა უკვე მოახერხა თავისი კულტურული აღმატებულობის დაღის დასმა სკულპტურებზე. უიტნი ჰიუსტონის სკულპტურის გარდა დააზიანეს კიდევ რამდენიმე ნამუშევარი. უბრალოდ, გასართობად, კარგ ხასიათზე იყვნენ და სკულპტურებს დაერივნენ. ესეც ისე, ნაცების ოხუნჯობაზე დახელოვნებული და გაზარმაცებული მედიისთვის...“

იტალიაში მიწისძვრის შედეგად დაღუპულთა რაოდენობამ 240-ს გადააჭარბა

იტალიაში მიწისძვრის შედეგად დაღუპულთა რაოდენობა გაიზარდა. ბოლო ინფორმაციით, გარდაცვლილთა რაოდენობამ 240-ს გადააჭარბა, დაშავებულია 368 ადამიანი.

4 300-ზე მეტი მაშველი, მძიმე ტექნიკის დახმარებით, მთელი ღამის განმავლობაში, ნანგრევებში გადარჩენილებს ეძებდა.

ქვეყნის ჯანდაცვის მინისტრის განცხადებით, დაღუპულთა შორის ბევრი მცირეწლოვანია. მისივე ვარაუდით, მსხვერპლის რაოდენობა კიდევ გაიზრდება.

მიწისძვრის სიმძლავრემ 6.2 მაგნიტუდა შეადგინა. სტიქიის შედეგად დაინგრა ეპიცენტრთან მდებარე ქალაქები და სოფლები.

ქალაქი ამატრიჩე თითქმის მთლიანად განადგურებულია.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.297; ევრო - 2.591;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.041;
100 რუბლი - 3.547; თურქული ლირა - 0.777;
აზერბაიჯანული მანათი - 1.400;
1000 სომხური დრამი - 4.845.

ამინდი 26 აგვისტოსთვის

აღმოსავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +18,	დღე +35
მთიანი რაიონები -	ღამე +9,	დღე +34
დასავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +19,	დღე +32
მთიანი რაიონები -	ღამე +11,	დღე +32
თბილისი:	ღამე +21,	დღე +34

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE